



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

**დაუმთავრებელი დანაშაულის სახეები და კვალიფიკაციასთან
დაკავშირებული პრობლემები**

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სტუდენტი - ნიკა ბალაშვარაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი - მალხაზ ლომსაძე

ქ.გორი

2021 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

<i>გამოყენებული აბრევიატურა</i> -----	4
<i>ანოტაცია</i> -----	5
<i>Annotation</i> -----	6
<i>შესავალი</i> -----	7
თავი I. დანაშაულის მომზადება -----	10
<i>1.1 დანაშაულის ცნება და მისი სახეები</i> -----	10
<i>1.2 დანაშაულის მომზადების ცნება</i> -----	11
<i>1.3 დანაშაულის მომზადების სუბიექტური მხარე</i> -----	14
<i>1.4 დანაშაულის მომზადების ობიექტური მხარე</i> -----	15
<i>1.5 დანაშაულის მომზადების დასჯადობა</i> -----	18
თავი II. დანაშაულის მცდელობა -----	21
<i>2.1 დანაშაულის მცდელობის ცნება</i> -----	21
<i>2.2 დანაშაულის მცდელობის სახეები</i> -----	24
<i>2.2.1 უვარგისი მცდელობა</i> -----	26
<i>2.3 დანაშაულის მცდელობის სუბიექტური მხარე</i> -----	30
<i>2.4 დანაშაულის მცდელობის ობიექტური მხარე</i> -----	35
<i>2.5 დანაშაულის მცდელობის დასჯადობა</i> -----	39
<i>2.6 სასამართლო პრაქტიკა</i> -----	44
თავი III. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება -----	48
<i>3.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ცნება და შინაარსი</i> -----	48
<i>3.2 ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური და ობიექტური ნიშნები</i> -----	52

<i>3.3</i> დანამაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილეობის და ამსრულებლობის დროს -----	58
<i>3.4</i> ნებაყოფლობით ხელის აღება და დანამაულის პროვოკაცია -----	61
<i>3.5</i> სასამართლო პრაქტიკა -----	64
დასკვნა -----	69
ბიბლიოგრაფია -----	73

გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა

- სსკ. --- სისხლის სამართლის კოდექსი
ე.ი. ---- ესე იგი
გ.ვ. ----- გვერდი
ა.შ. ----- ასე შემდეგ
ე.წ. ----- ეგრედ წოდებული
იხ. ----- იხილეთ
სსრ. ---- საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
მაგ. ----- მაგალითად
თბ. ----- თბილისი
გამომც. ----- გამომცემლობა
ქ. ----- ქალაქი

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში საუბარია მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე, რომლებსაც მოიცავს დაუმთავრებელი დანაშაული, კონკრეტულად კი დანაშაულის მომზადება, დანაშაულის მცდელობა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. ნაშრომის მთავარი ამოცანაა პასუხი გასცეს იმ კითხვებს, რომლებიც დაუმთავრებელი დანაშაულის გარშემო ტრიალებს და არაერთხელ გამხდარა მეცნიერ-მკვლევართა კამათის საგანი, რამეთუ მოცემულ თემასთან დაკავშირებით ვაწყდებით არც ისე მცირე პრობლემურ საკითხებს, რომელიც რიგ შემთხვევაში იწვევს მცდარ შეხედულებებს, არასწორ კვალიფიკაციას და მამასადამე მცდარ გადაწყვეტილებებსა და პასუხისმგებლობის ზომებს, რაც დაკავშირებულია სწორი და სამართლიანი მართლმსაჯულების ხარვეზებთან.

კვლევაში მკაფიოდაა დანახული ის პრობლემები და ხარვეზები, რომლებიც თავს იჩენს დაუმთავრებელი დანაშაულის განხილვისას და მათ შორისაა პასუხისმგებლობის დაკისრებისა და გამორიცხვის საფუძვლები.

კვლევის სრულფასოვნებისთვის სიღრმისეულადაა შესწავლილი და გადმოცემული დაუმთავრებელი დანაშაულის, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მხარეები, რადგან სწორედ მათი საშუალებითაა შესაძლებელი დამნაშავის განზრახვის გაგება და მისი მხრიდან განხორციელებული ქმედებების საშიშროების დადგენა და სწორი კვალიფიკაცია.

დაუმთავრებელი დანაშაულის ბუნების, კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სიღრმისეული კვლევისთვის გამოყენებული იქნა ქართული სისხლის სამართლის დოქტრინა, უამრავი სამეცნიერო ნაშრომი, არაერთი მეცნიერის მიერ გამოცემული წიგნები და სასამართლო პრაქტიკა, რამაც მოგვცა საშუალება მივსულიყავით იმ დასკვნების გასაკეთებლად, რომლებიც აღნიშნულ საკითხს უფრო მეტად ჰფენს ნათელს და გარკვეულ წილად ხსნის იმ პრობლემებს, რომლებიც ხშირად ჩნდება დაუმთავრებელ დანაშაულზე საუბრისას.

Annotation

The master's thesis deals with unlawful acts, which include unfinished crime, in particular, preparation for crime, attempted crime, and voluntary surrender of crime.

The main task of the paper is to answer the questions that revolve around the unfinished crime and have repeatedly been the subject of controversy among scholars, because we face no small problematic issues on this topic, which in some cases lead to misconceptions, misqualifications and consequent wrong decisions.

Related to flaws in fair and just justice. The study clearly identifies the problems and shortcomings that arise in dealing with unfinished crime, including the grounds for imposing and excluding liability.

The paper also briefly reviews the completed crime, because without its knowledge, it is impossible to talk about the unfinished crime and its types. For the sake of completeness of the research, both subjective and objective aspects of the unfinished crime are studied in depth and conveyed, because it is through them that it is possible to understand the intent of the offender and the danger of the actions taken by him.

Georgian criminal doctrine, numerous scientific papers, books published by numerous scholars and case law have been used for in-depth research on the nature, qualification and criminal liability of the unsolved crime, which has allowed us to draw conclusions that Problems that often arise when talking about unfinished crime.

The master thesis consists of 74 printed pages, 3 chapters, 17 subsections and case law.

შესავალი

სამეცნიერო კვლევა ჩატარებულია იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს, როგორც დანაშაულის მომზადების, ასევე დანაშაულის მცდელობის და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გარშემო გაბატონებული თეორიების სრულფასოვან ანალიზს, რათა მაქსიმალურად ზუსტად და სამართლიანად მოხდეს თითოეული მათგანის შეფასება, მათი სწორი კვალიფიკაცია და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენება - გამორიცხვის შესაძლებლობები. თემაში მიმოხილულია, როგორც დანაშაულის მომზადება, რომელიც ფორმულირებულია სსკ-ის მე-18 მუხლში, ასევე დანაშაულის მცდელობა, რომლის შემადგენლობაც სსკ-ის მე-19 მუხლშია გადმოცემული. მომზადებასთან და მცდელობასთან ერთად დაუმთავრებელი დანაშაულის შემადგენელი ელემენტია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაც, რომელიც წარმოადგენს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს და მას ვხვდებით საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლში. ნაშრომში თითოეული საკითხი არის ცალ-ცალკე აღებული და განხილული, გავლებულია პარალელები მათ შორის და დანახულია ახალი ხედვით, რომელიც უფრო მეტად გამოიტანს მზის შუქზე თემის აქტუალურობას და მის გავლენას სწორი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის.

ნაშრომში ჩამოყალიბებული თითოეული თავისა თუ ქვეთავის შინაარსი, დაგვეხმარება ერთმანეთისაგან დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნაში, რაც პირდაპირ კავშირშია კვალიფიკაციასთან და შემდეგში სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის, როგორც დაკისრებასთან, ისე მისგან განთავისუფლებასთან და ბუნებრივია პასუხისმგებლობის ზომასთან. ნაშრომში საუბარი გვექნება, როგორც დანაშაულის მომზადებასა და მის დასჯადობაზე, ასევე დანაშაულის მცდელობის სახეებზე - დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობაზე, ასევე უვარგის და აბსოლიტურად უვარგის მცდელობაზე და მის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველებზე. სამაგისტრო ნაშრომში მოცემული იქნება სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკა, რომელიც კვლევას უფრო თვალსაჩინოს და ადვილად გასაგებს გახდის. კვლევაში მოცემული ტექსტი ემსახურება დაუმთავრებელი დანაშაულის სიღრმისეულ ანალიზს, თანმდევი პრობლემების შესწავლას და აღნიშნული პრობლემების მოგვარების გზების ძიებას, რამეთუ თითოეული პრობლემური საკითხი, რომელიც წინა პლანზე იქნება წამოწეული არის უმნიშვნელოვანესი ქართული კანონმდებლობის სწორი განვითარებისთვის და ლიბერალური მიდგომების გატარებისთვის.

კვლევის აქტუალობა

კვლევის აქტუალობა საკვლევი თემის ზოგიერთი პრობლემური საკითხის არსებობიდან გამომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ დაუმთავრებელ დანაშაულზე არის მოცემული უამრავი მასალა, წიგნი, სტატია, მონოგრაფია და სამაგისტრო თუ სადოქტორო ნაშრომი, მაინც არსებობს პასუხგაუცემელი, ანდაც საეჭვო დეტალები, რომლებსაც საერთო ჯამში საკმაოდ დიდი პრობლემის გამოწვევა შეუძლიათ ქართული მართლმსაჯულების სწორ და სამართლიან განხორციელებაში. სწორედ ამიტომ საჭიროა თემის კიდევ ერთხელ გაანალიზება, თითოეული ასპექტის ხელახლა გავლა, მათი გამოაშკარავება, სწორი კითხვების დასმა და მაქსიმალურად ზუსტი პასუხების მიღება.

კვლევის მიზანია

1. დაუმთავრებელი დანაშაულის ძირითადი არსის და ბუნების სიღრმისეული მიმოხილვა და მისი სამართლებრივი შედეგების გაგება;
2. დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ერთმანეთისაგან სამართლებრივი გამიჯვნა და პასუხისმგებლობის ზომის სწორი შეფარდება;
3. დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის არსის გაგება, მათი სუბიექტური და ობიექტური ნიშნების გამოხატულება და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა;
4. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ადების პირობების, მოტივების და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საკითხების შეცნობა.

კვლევის მეთოდები

ნაშრომში დასმული პრობლემური საკითხების კვლევისა და ანალიზისთვის გამოყენებული იქნა სხვადასხვა კვლევის მეთოდები, რომელსაც მოიცავს: დოგმატური, შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული, ლოგიკური და ტელოლოგიური მეთოდები.

ნაშრომის სტრუქტურა

სამაგისტრო ნაშრომი შედგება 74 ნაბეჭდი გვერდისგან, 3 თავისგან, 17 ქვეთავისგან და სასამართლო პრაქტიკისგან.

ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას აქტიურად იქნა გამოყენებული ქართული სისხლის სამართლის დოქტრინის სხვადასხვა იურიდიული ლიტერატურა, მათ შორის მალხაზ ლომსაძის, ოთარ გამყრელიძისა და მერაბ ტურავას მიერ გამოცემული წიგნები, ასევე ავტორთა კოლექტივის სისხლის სამართლის კომენტარები, თინათინ წერეთლის ნაშრომები, სხვადასხვა სამაგისტრო თუ სადოქტორო ნამუშევრები და სასამართლო პრაქტიკა

თავი 1. დანაშაულის მომზადება

1.1 დანაშაულის ცნება და მისი სახეები

„სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დანაშაული, რაც არის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომელიც მიმართულია სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისკენ.“¹ დანაშაული თავის მხრივ შედგება 3 ელემენტისაგან და ესენია: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი - სწორედ ამ სამი ელემენტის ერთდროულად არსებობისას არის შესაძლებელი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია. ქმედების შემადგენლობაში მოიაზრება სუბიექტის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა, სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე კონკრეტული მუხლის შემადგენლობასთან.

მართლწინააღმდეგობა თავის თავში გულისხმობს პირის მიერ ჩადენილი ქმედების წინააღმდეგობას სისხლის სამართლის ნორმებთან, ხოლო ბრალში მოიაზრება პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა, მისი მართლწინააღმდეგობისა და ქმედების შემადგენლობის გამო.“² სისხლის სამართალში ვაწყდებით ისეთ ქმედებებს, რომლებიც თუმცა წარმოადგენენ დანაშაულს, მაგრამ მათი შემადგენლობა საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ თავად დანაშაულის კლასიფიკაციაც და მისი დამთავრებულ და დაუმთავრებელ დანაშაულად ჩამოყალიბება.

თითოეული დანაშაულის კვალიფიკაციის დროს ყურადღება უნდა მიექცეს, თუ როგორ არის, ესა თუ ის დანაშაული ფორმულირებული სისხლის სამართლის კოდექსში. მაგ: ქურდობა - დამთავრებულად ითვლება სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო ფარული დაუფლების შემდეგ. აქედან გამომდინარე ქურდობის შემადგენლობა იმგვარადაა მოცემული კანონში, რომ იგი დამთავრებულად ითვლება შედეგის დადგომისთანავე, შედეგში კი იგულისხმება სხვისი ნივთის დაუფლება, რომელიც განხორციელდა ფარულად. ქურდობის შემადგენლობა, რომელიც განხორციელდა, მაგრამ სახეზე არ გვაქვს შედეგი ითვლება დაუმთავრებელ დანაშაულად, კონკრეტულად კი მცდელობად. ქურდობისგან განსვავებულია ყაჩაღობა, რომლის შემადგენლობაც იმგვარადაა კანონში მოცემული, რომ იგი დამთავრებულია დაწყების მომენტიდან და არ აქვს მნიშვნელობა

¹ სსსკ - ის მე-7 მუხლი

² მ. ტურავა - სისხლის სამართლის ზოგადი მიმოხილვა ი.ხ გ.ვ 56

მართლსაწინააღმდეგო ქმედების ავტორმა, შეძლო თუ არა სხვისი ნივთის აშკარა მისაკუთრება.

დამთავრებული დანაშაულებისგან განსხვავებით, დაუმთავრებელი დანაშაულისთვის სისხლის სამართლის კოდექსში არ არის მითითებული ცალკე მუხლები, ანუ ქმედების შემადგენლობა მცდელობისთვის და მომზადებისთვის ცალკე არაა გამოყოფილი და კვალიფიკაცია ხდება ზოგადი მუხლით, დამთავრებული დანაშაულის მუხლზე მითითებით.

სსკ-ში ფორმულირებული მუხლებიდან, დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციაში მონაწილეობას ღებულობს მე-18 მუხლი, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის მომზადებას და მე-19 მუხლი, რომელშიც ფორმულირებულია დანაშაულის მცდელობის შემადგენლობა.

1.2 დანაშაულის მომზადების ცნება

„საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მიხედვით დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისთვის პირობების განზრახ შექმნა.“³ კანონში ჩაწერილი ამ წინადადებით დგინდება, რომ მომზადებად ჩაითვლება თითოეული ქმედება, რომელსაც სჩადის სუბიექტი და რომელიც მიზეზობრივ კავშირშია მომავალში ჩასადენ დანაშაულთან მიმართებაში. „პირობების შექმნაში იგულისხმება მრავალგვარი მოქმედება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს, მაგ: თანამონაწილეთა შერჩევაში, უშედეგო წაქეზებაში, დანაშაულის ჩასადენად აუცილებელი ცნობების შეგროვებაში, ხელყოფის ობიექტის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებაში, რომ შესაძლებელი გახდეს მისი ხელყოფა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე და ა.შ.“⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების მომზადებისას, ასევე ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადებისთვისაც, თუ მის შესახებ მითითებულია სსკ-ის მე-18 მუხლის, მე-2 ნაწილში, კონკრეტულად კი ისეთი დანაშაულებისთვის, როგორცაა:

სსკ-ის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (მითვისება ან გაფლანგვა);

სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები (წინასწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება);

სსკ-ის 194-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება);

სსკ-ის 202-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (ინსაიდერული ინფორმაციის, კომერციული ან

³ სისხლის სამართლის კოდექსი, მე-18 მუხლი

⁴ მალხაზ ლომსაძე - საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა); თბილისი 2014. იხ. გვ. 65.

საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება, გადაცემა, გახმაურება ან გამოქვეყნება);
სსკ-ის 221-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილები (კომერციული მოსყიდვა);
სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები (სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება);
სსკ-ის 339-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (ქრთამის მიცემა);
სსკ-ის 339¹-ე მუხლის 1-ლი და მეორე ნაწილები (ზეგავლენით ვაჭრობა);
სსკ-ის 365-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილები (მუქარა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან, გამოძიებასთან ან დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებით);
სსკ-ის 372-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (ზემოქმედების განხორციელება გამოსაკითხ პირზე, მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე).

საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისთვის, განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისთვის, ამ მუხლზე მითითები - „ეს ჩანაწერი სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილთან ერთად ქმნის ტექნიკურ-საგარანტიო ფუნქციას, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გათვალისწინებული განსაკუთრებით მძიმე, მძიმე და გამონაკლის შემთხვევებში ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადება არის დასჯადი, ამიტომ სამართალშემფარდებელს არ აქვს უფლება, თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს დანაშაულის მომზადების დასჯადობის საკითხი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებში.“⁵

„გარკვეული დანაშაულების მომზადების დაუსჯელობა აიხსნება იმით, რომ დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედება საკმაოდ შორსაა დანაშაულის ბოლომდე მიყვანამდე, ამიტომ დანაშაულის მომზადება არ ქმნის ობიექტის დაზიანების რეალურ საფრთხეს, რის გამოც, ეს ეტაპი მცირე მნიშვნელობისაა. ამასთან ერთად, მომავალში დანაშაულის ჩადენისთვის, პირის მიერ გარკვეული საქმიანობა ხშირად არ ატარებს კონკრეტულ ხასიათს, ანუ დამნაშავეს ჯერ კიდევ არ აქვს დაზუსტებული სამოქმედო გეგმა. მაგ: პირმა შეიძინა სპეციალური ხელსაწყო, რომლის გამოყენებასაც აპირებს მომავალში ყალბი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის შესაქმნელად. ეს სიტუაცია არ იძლევა იმის საფუძველს, რომ პირის მიმართ გამოვიყენოთ სისხლისამართლებრივი დევნა, რამეთუ მას ნებისმიერ დროს შეუძლია ხელი აიღოს

⁵ ლევან ხარანაული - დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) იხ. გვ. 51

თავის დანაშაულებრივ განზრახვაზე, ანუ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ობიექტური მხარე, არ იქნას შესრულებული“.⁶

„პირველ რიგში, არ უნდა გავაიგივოთ დანაშაულის მომზადება განზრახვის გამომჟღავნებასთან, რამეთუ განზრახვის გამომჟღავნება შეიძლება გამოიხატოს ძალიან მარტივ ფორმებში, როგორცაა მისი ხმამაღლა წარმოთქმა, ჟესტიკულაცია, წერილობითი ფორმა და სხვა კონკლუდენტური მოქმედება. რამდენადაც ქართული სისხლის სამართალი ქმედების სამართალია, ანუ კრიმინალიზაციის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ გარეგნულად გამოხატული ქმედება, ამდენად განზრახვის გამომჟღავნების დასჯადობის აღიარება, იქნება დემოკრატიულ პრინციპებზე ხელის აღება.“⁷

სუბიექტის ქმედებასა და დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნას შორის უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი. მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც მოქმედება წარმოადგენს დანაშაულის ჩასადენად აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ასეთი პირობები არ შეიქმნებოდა.

„საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, დანაშაულის მომზადებად ითვლებოდა დანაშაულის ჩასადენი იარაღის ან სხვა საშუალების გამონახვა და მომარჯვება, ან პირობების შექმნა და სხვა.

ზემოთ აღნიშნული მუხლის მიხედვით არ კონკრეტდებოდა მიზეზობრივი კავშირი პირობების განზრახ შექმნასა და უშუალოდ დანაშაულს შორის, რამეთუ მუხლში არ იყო ფორმულირებული სუბიექტური მხარე. რაც შეეხება თანამედროვე კოდექსს მასში მკაფიოდაა გადმოცემული სუბიექტური მხარეც, რომლის შემადგენლობასაც დაემატა პირობების განზრახ შექმნა.“⁸ ამით კანონმდებელმა მიუთითა იმის შესახებ, რომ მხოლოდ პირობების შექმნა ვერ იქნება ის მაკვალიფიცირებელი გარემოება, რომლის არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია დანაშაულის მომზადებაზე საუბარი, არამედ კანონშემოქმედი პირდაპირ მიუთითებს, რომ ის პირობები, რომელიც იქმნება სუბიექტის მიერ, მიმართული უნდა იყოს კონკრეტული დანაშაულის მომზადებისთვის, ანუ მასთან უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირში.

⁶ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი - ავტორთა კოლექტივი, გამომც. „მერიდიანი“ თბილისი, 2007წ. გვ.156.

⁷ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი - ავტორთა კოლექტივი, გამომც. „მერიდიანი“ თბილისი, 2007წ. გვ. 157

⁸ თ.წერეთელი - სისხლის სამართლის პრობლემები I ტომი. გამომც. „მერიდიანი“. თბილისი. 2007. იხ. გვ. 378.

1.3 დანაშაულის მომზადების სუბიექტური მხარე

თითოეულ დანაშაულს, მათ შორის დანაშაულის მომზადებას გააჩნია, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მხარე.

„დანაშაულის მომზადების სუბიექტური მხარე მოიცავს დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნის და დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისკენ მიმართულ განზრახვას.“⁹

„სუბიექტური ნიშნით, მოსამზადებელი მოქმედება აუცილებლად განზრახ ბრალს გულისხმობს. განზრახვა დანაშაულის მომზადების დროს მიმართული უნდა იყოს არა მოსამზადებელ მოქმედებაზე, არამედ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაზე და ამასთან განზრახვა, უნდა მოიცავდეს ყველა იმ გარემოებას, რომელიც შედის დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობაში.“¹⁰

„ქართულ და საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში დომინირებდა აზრი, იმის შესახებ, რომ დანაშაულის მომზადების დროს, მოსამზადებელი ქმედებები, მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხორციელდება, ამასთან, განზრახვა წინასწარ მოფიქრებული უნდა იყოს და თვით მოსამზადებელი მოქმედებების ჩადენის მომენტში უნდა არსებობდეს. მაგ: თუ კაცმა თოფი სანადიროდ შეიძინა, ეს ქმედება არ შეიძლება დანაშაულის მომზადებად ჩაითვალოს, თუნდაც შემდგომ სუბიექტს დაებადოს ამ საშუალებით მკვლელობის ჩადენის განზრახვა.“¹¹

პირის მიერ დანაშაულის მომზადების მომენტში, მის მიერ განხორციელებულ მოსამზადებელ ქმედებებსა და დანაშაულებრივი შედეგის შესაძლო დადგომას შორის, უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, რამეთუ თუ ქმედების კვალიფიკაცია წარმართება დანაშაულის მომზადებისკენ, მაშინ უნდა დაგინდეს, რომ ქმედების ავტორმა, თითოეული მოქმედება, რომელიც განახორციელა, მიმართული იყო დანაშაულებრივი შედეგის დადგომისკენ.

დანაშაულის მომზადების სუბიექტურ მხარეზე, საკუთარი აზრი გააჩნდა ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხს, რომელიც წერდა, რომ „ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მომზადება შეუძლებელია, რადგან წარმოუდგენელია, ადამიანმა დანაშაულის ჩასადენად პირობები მოამზადოს, თუ მას შედეგის დადგომა არ სურს.“¹² მაშასადამე, თუ დავეყრდნობით ამ ჩანაწერს, დანაშაულის მომზადება

⁹ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“, თბილისი, გამომც. „მერიდიანი“ 2011წ, გვ. 33

¹⁰ თ. წერეთელი, „სისხლის სამართლის პრობლემები“, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2007 წ, გვ 388

¹¹ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 57

¹² ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“, გამომც. თბილისი, „მერიდიანი“, 2011წ. გვ. 33

შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირი განზრახვით და მისი არაპირდაპირი განზრახვით მომზადება შეუძლებელია.

„გაბატონებული თეორია, რომლის თანახმადაც დანაშაულის მომზადება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი, არ არის დამაჯერებელი, რადგან, „განზრახვა ყოველთვის მიზნით არ არის დეტერმინებული. ამასთან არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დანაშაულის მომზადება, ევენტუალური განზრახვით დავას არ უნდა იწვევდეს. უმოქმედობით პირობების შექმნის დროს, შესაძლებელია, თანამონაწილის, კერძოდ დამხმარის ქმედება ევენტუალურ განზრახვაში გამოიხატოს, მით უმეტეს, რომ ქართულ სისხლის სამართალში თანამონაწილეობა შესაძლებელია, არა მარტო პირდაპირი განზრახვით, არამედ ევენტუალური განზრახვითაც.“¹³ მაგ: ძვირადღირებული მანქანების პარკინგის დარაჯი, გულგრილად ეკიდება სამსახურეობრივ მოვალეობას და საპარკინგე ტერიტორიაზე არსებულ ჭიშკარს არ კეტავს, რა დროსაც შესაძლებელია ნებისმიერ დროს შემოიპარონ ქურდები და განახორციელონ სატრანსპორტო საშუალების ქურდობა. ერთ დღესაც, დარაჯის საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო, ქურდება შეძლეს ღია ჭიშკრიდან საპარკინგე ტერიტორიაზე შეღწევა და განიზრახეს მანქანების ფარული მისაკუთრება, რა დროსაც პოლიციამ ისინი დააკავა. ამ შემთხვევაში დარაჯის ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც ევენტუალური განზრახვით ავტოსატრანსპორტო საშუალების ქურდობის მომზადებაში დახმარებად.

დანაშაულის მომზადების სუბიექტურ შემადგენლობაზე საუბრისას ყოველთვის იარსებებს მრავალი მოსაზრება, იმის თაობაზე, თუ რამდენად არის შესაძლებელი დანაშაულის მომზადება ევენტუალური განზრახვით და რამდენად წარმოადგენს მომზადება თითოეულ შემთხვევაში პირდაპირ განზრახვას, ამიტომ თითოეული საკითხი და ქეისი ინდივიდუალურად უნდა იქნას შეფასებული. დადგენილი უნდა იქნას სუბიექტის განზრახვის ხასიათი, მისი ნებელობითი და ინტელექტუალური ელემენტები და სწორედ მას შემდეგ უნდა გაირკვეს წარმოადგენდა, თუ არა მის მიერ დანაშაულის მომზადება სუბიექტურად პირდაპირ განზრახვას, თუ არაპირდაპირ, ანუ ევენტუალურ განზრახვას.

1.4 დანაშაულის მომზადების ობიექტური მხარე

კონკრეტული ქმედება, რომელიც შეიცავს მართლწინააღმდეგობის ნიშნებს, რომ ჩაითვალოს დანაშაულის მომზადებად, ამისთვის საჭიროა სუბიექტმა შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც იქნება რეალური და ვარგისი, კონკრეტული ბრალეული ქმედების განსახორციელებლად. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საქართველოს სსკ-ის

¹³ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 58

მე-18 მუხლი, დანაშაულის ფორმულირებისას იყენებს სიტყვებს „პირობების განზრახ შექმნა“ - რაშიც ქმედების სუბიექტურ ნიშნებთან ერთად, ობიექტური მხარეც გამოიხატება. პირობების შექმნა ძალიან ზოგადი და ფართო ცნებაა. მასში შესაძლებელია მრავალგვარი მოქმედების დანახვა, რა მოქმედებებითაც იქმნება დანაშაულის ჩადენის წინაპირობა.

მ.ლომსაძის აზრით „პირობების განზრახ შექმნაში იგულისხმება მრავალგვარი მოქმედება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს: თანამონაწილეთა შერჩევაში, უშედეგო წაქეზებაში, დანაშაულის ჩასადენად აუცილებელი ცნობების შეგროვებაში, ხელყოფის ობიექტის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებაში, რომ შესაძლებელი გახდეს მისი ხელყოფა ყოველგვარი დაბრკოლების აცილებით და ა.შ.“¹⁴

„იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ პირობების შექმნა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იარაღის ან საშუალების დამზადებას, ან შექმნას, თუ მომარჯვებას, დანაშაულის ჩასადენად.“¹⁵ „როდესაც დანაშაულის იარაღის დამზადებასა და შექმნაზე ვლავარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ამ იარაღით კონკრეტული დანაშაული ჩადენა. იარაღის მოპოვება დანაშაულის მომზადებად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როცა ეს იარაღი წინასწარ ჩაფიქრებული დანაშაულის ჩასადენად არის შექმნილი, ანდაც დამზადებული.“¹⁶ „მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნას, თუნდაც მასში ამკარად გამოვლინდეს დანაშაულის ჩადენის განზრახვა, არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის მომზადებად და განხილული უნდა იქნას, როგორ განზრახვის გამომჟღავნება, რომელიც სისხლის სამართლის პასუხმსმგებლობას არ იწვევს.“¹⁷

„მოსამზადებელ მოქმედებად არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართულია იმისკენ, რომ შექმნას პირობები დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ თავისთავად არ ქმნის ამ პირობებს. მაშასადამე თუ პირი მკვლელობის მიზნით მიემართება იარაღის შესაძენად და იარაღის შექმნა დამთავრდა უშედეგოდ, ასეთი მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის მომზადებად.“¹⁸ „ამის გარდა, იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულის მომზადებად თვლიან დანაშაულის ადგილისკენ წასვლას, ჩასაფრებას და უშედეგო

¹⁴ მ. ლომსაძე - „საქართველოს სიხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (მეორე შევესებული და გადამუშავებული გამოცემა)“; თბილისი. 2014. იხ. გვ 65.

¹⁵ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. იხ. გვ 381.

¹⁶ თ. გამყრელიძე, „სისხლის სამართლის პრობლემები, ტIII“, გამომც. „მერიდიანი“, 2013 წ, თბ. გვ.238

¹⁷ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ 380

¹⁸ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ 380

წაქეზებას.¹⁹ „დანაშაულის ადგილისკენ წასვლა და ჩასაფრება ყოველთვის როდი ქმნის მოსამზადებელ სტადიას. მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია კონკრეტიზაცია იმისა, თუ უშუალოდ სად იმყოფება დამნაშავე, ან დაზარალებული, რადგან სწორედ სიხლოვის ფაქტორი უნდა გახდეს მომზადებისა და მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის კრიტერიუმი. თუ დამნაშავე ჩაუსაფრდა დაზარალებულს და ორი საათის შემდეგ დააკავეს იგი, მისი ქმედება დანაშაულის მომზადებად უნდა ჩაითვალოს მაშინ, თუ დადგინდა, რომ დაზარალებული მოგვიანებით აპირებდა გავლას მოცემულ ადგილას, მაგრამ თუ დაკავების შემდეგ დადგინდა, რომ დაზარალებული სადაც არის უნდა გამოჩენილიყო, წუთი-წუთზე, ანდაც უკვე გამოჩნდა, მაშინ დამნაშავის ქმედება, დანაშაულის მცდელობად უნდა დაკვალიფიცირდეს.“²⁰

„სისხლის სამართლის ლიტერატურაში, პრობლემატური იყო უშედეგო წაქეზებისა და უშედეგო დახმარების დანაშაულის მომზადებად შეფასების საკითხი. მიუხედავად ამისა, გაბატონებული შეხედულება ყოველთვის აიღიარებდა, რომ წამქეზებლის და დამხმარის ქმედებები, მომზადების სტადიას არ სცილდებოდა და შესაბამისად, უშედეგო წაქეზება და უშედეგო დახმარება არ შეიძლება უფრო მეტად ან უფრო ნაკლებად შეფასდეს.“²¹ უშედეგო წაქეზებასა და დახმარების დანაშაულად მომზადებასთან დაკავშირებით, საკუთარი აზრი გააჩნია თ.გეგელიას, რომელიც თავის სადოქტორო ნაშრომში, საკუთარ შეხედულებას აყალიბებს შემდეგნაირად „იმ პირისთვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც ცდილობდა დანაშაულის ჩასადენად სხვა პირის წაქეზებას, მაგრამ ვერ შეძლო მისი დაყოლიება, იმდენად დაშორებულია დანაშაულის მცდელობისგან, რომ საქმე გვაქვს განზრახვის გამომჟღავნებასთან და არა დანაშაულის მომზადებასთან.“²²

თ. გეგელიას ნააზრევისგან განსხვავებული შეხედულება აქვს ჩამოყალიბებული თ.წერეთელს, რომელის შეხედულებაც უფრო მეტად მისაღებია და უფრო ზუსტად გამოხატავს კანონმდებლის ნებას. იგი ფიქრობდა, რომ „თუ პირი ერთპიროვნულად მოქმედებს, იგი აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს სუბიექტის იმ ნიშნებს, რაც დანაშაულის შემადგენლობაშია აღწერილი, მაგრამ რამდენადაც პირის განზრახვა მიმართული იყო იმაზე, რომ სხვაში აღედრა დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება და მამასადამე სხვისი მეშვეობით ჩადენა დანაშაული, გაუგებარია რატომ არ

¹⁹ ე. მჭედლიშვილი-ჭედრიხი „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“, გამომც. თბილისი, „მერიდიანი“, 2011წ. გვ. 23.

²⁰ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 53

²¹ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 53

²² თ.გეგელია „დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები“ თბილისი. 2018წ. გვ. 50

შეიძლება განვიხილოთ იგი, როგორც მოსამზადებელი მოქმედების ჩამდენი, თუ მისი წაქეზება უშედეგო აღმოჩნდა.“²³

1.5 დანაშაულის მომზადების დასჯადობა

სანამ უშუალოდ დანაშაულის მომზადების დასჯადობასა და მის პასუხისმგებლობაზე ვისაუბრებთ, საჭიროა ჯერ კარგად გავაცნობიეროთ, რა არის ზოგადად პასუხისმგებლობა, მისი საფუძვლები და სწორედ ამის შემდეგ, შესაძლოა ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ ხდება დანაშაულის მომზადების დასჯადობა ქართულ სისხლის სამართალში. საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მიხედვით, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა წარმოადგენს სახელმწიფო რეაგირების ფორმას სისხლისამართლებრივ დევნასთან ერთად, რომლის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯა, მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და შემდეგი დანაშაულის თავიდან აცილება. „სისხლის სამართლის წესით, პასუხისგებაში მისაცემად საჭიროა სამი პირობა:

1. ქმედება გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კანონით;
2. იგი უნდა იყოს საზოგადოებრივად საშიში;
3. იგი უნდა იყოს ბრალეული.“²⁴

ზოგიერთი სახელმწიფო, უარს აცხადებს დანაშაულის მომზადების კრიმინალიზაციაზე და არანაირი სასჯელის ზომას არ იყენებს მისი გამოვლენის შემთხვევაში, ამას კი იმით ხსნიან, რომ ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი დამნაშავემ ხელი აიღოს კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებაზე, რაც გამოირცხავს მის მიმართ, რაიმე პასუხისმგებლობის ზომის განხორციელებას. ბუნებრივია ეს საკმაოდ ლიბერალური მიდგომაა, მაგრამ არის კი ეს ეფექტური საშუალება სამართლებრივი სიკეთის დასაცავად?

„საქართველო მიეკუთვნება ისეთი ქვეყნების კატეგორიას, რომელიც დანაშაულის მომზადებას სჯის არა სპეციალური დამთავრებული დელიქტების სახით, არამედ გენერალურად. დანაშაულის მომზადების საფუძველი, ისევე როგორც დანაშაულის მცდელობისას, კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთისთვის ზიანის მიყენების საფრთხის შექმნაა. უდავოა, რომ სამართლებრივ სიკეთეს, სისხლის სამართალი

²³ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ 383-384

²⁴ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ 359

იცავს არა მხოლოდ დაზიანებისგან, არამედ ზიანის მიყენების რისკებისგანაც.²⁵ „საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის მეცნიერებმა, წამოწიეს საკითხი დანაშაულის მომზადების დასჯადობის მიზანშეუწონლობის შესახებ. ამის არგუმენტად ისინი სხვადასხვა ფაქტორზე მიუთითებდნენ.

პირველ ფაქტორად, ისინი საზოგადოებრივად საშიში შედეგის მიღწევის ძალზედ დაბალი ალბათობის ხარისხს ასახელებდნენ.

მეორე ფაქტორად, ისინი თვლიდნენ საკმაოდ დიდ მანძილს, რომელიც მოსამზადებელ ქმედებას და დანაშაულებრივ შედეგს შორის არსებობს და ეს მანძილი ხელისშემშლელი გარემოების აღმოცენების დიდ ალბათობას ქმნის.

მესამე ფაქტორად დასახელებული იყო სისხლის სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით, დანაშაულის მომზადების დასჯადობის მიუღებლობა.

მეოთხე ფაქტორში ისინი გულისხმობდნენ დანაშაულის მომზადების დროს, განზრახვის არაკონკრეტული და არასრულ ხასიათს, მაშასადამე დანაშაულის მომზადების დროს, განზრახვა სრულყოფილად ჩამოყალიბებული არ არის.

მეხუთე ფაქტორში მეცნიერები მოიაზრებდნენ იმას, რომ დანაშაულის მომზადების დასჯადობა, დამნაშავეს ართმევს ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას, რომლითაც სარგებლობის უფლება აქვს დამნაშავეს დანაშაულებრივი საქმიანობის ნებისმიერ სტადიაზე.²⁶

უნდა ითქვას, რომ სსკ-ის მე - 18 მუხლში ჩაწერილი ტექსტი პირობების განზრახ შექმნა, არის ძალიან ფართო ცნება და მიუხედავად მისი მრავალგვარი გაგებისა და არაერთი მეცნიერის მიერ ჩამოყალიბებული აზრისა, მაინც ტოვებს საკმაო ბუნდოვანებას კანონმდებლის ნებასთან დაკავშირებით, რაც თავისთავად აისახება კონკრეტული შემადგენლობის დასჯადობა-დაუსჯელობის საკითხებზე. მე-18 მუხლში გაკეთებული ასეთი ჩანაწერი და შემდეგ მისი პრაქტიკაში რეალიზება ერთი შეხედვით ქმნის ისეთი ვარაუდის საფუძველს, თითქოს საბოლოო განსაზღვრება პირობების განზრახ შექმნის ნაწილში, არის მოსამართლის ხელში და არა უშუალოდ საკანონმდებლო აქტში. კოდიფიცირებული ვერსია, ამ ჩანაწერით ვერ ქმნის ზუსტ შეხედულებას, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს პირობების განზრახ შექმნაში და ასეთი ვერსია, მოსამართლეს აძლევს გუნუსაზღვრელ შესაძლებლობებს ნორმის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, ამიტომ მე-18 მუხლი, რომელიც მომზადების

²⁵ თ.გეგელია „დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები“ თბილისი. 2018წ. გვ 24

²⁶ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 76

გენერალურ დასჯადობას ეხება, შეიცავს ხარვეზებს და მისი პრაქტიკაში თითქმის გამოუყენებლობა ბადებს კითხვებს, მისი საჭიროების თაობაზე.

გასათვალისწინებელია გარკვეული კატეგორიის მეცნიერთა აზრი დანაშაულის მომზადების დასჯადობასთან დაკავშირებით, რომელშიც შესაძლოა იყოს დანაშაულის ნიშნები და იცავდეს სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფის ადრეულ სტადიაზე, მაგრამ საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ სუბიექტური აზრით, ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის მიდგომა, მომზადების დასჯადობასთან დაკავშირებით, არ არის მართებული.

დანაშაულის მომზადება ძალიან ახლოს დგას განზრახვის გამომჟღავნებასთან, მაგრამ ძალიან შორსაა ობიექტისთვის რეალური საფრთხის შექმნისაგან. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უმთავრესი მიზანია, სამართლებრივი სიკეთეების დაცვა და კონსტიტუციურად გამყარებული უფლებების რეალიზაცია, მაგრამ რამდენად სწორია ისეთი ქმედების დასჯადობა, რომელიც რეალურად არ ქმნის კონკრეტული ობიექტის ხელყოფის საფრთხეს, იქნება ეს ადამიანის ქონება, სოცოცხლე, თუ ჯანმრთელობა.

გასაზიარებელია ის ფაქტიც, რომ მომზადება წარმოადგენს წინაპირობების შექმნას დანაშაულის ჩასადენად და ნებისმიერ დროს შეიძლება დანაშაულის მომზადება, გახდეს ფუნდამენტი სამართლებრივი სიკეთის დასაზიანებლად, მაგრამ ეს არის მხოლოდ ვარაუდი და არა პრეიდუცია. თუ კი, კანონმდებლობა მომზადების დასჯადობას ხსნის იმით, რომ დაცული იყოს საზოგადოებრივი ინტერესი, მაშინ ხომ არ ირღვევა იმ სუბიექტის ინტერესები, რომელიც ამზადებს დანაშაულს? ისიც ხომ საზოგადოების შემადგენელი ნაწილია?

საქართველოს კანონმდებლობა დანაშაულის მომზადების კრიმინალიზაციის მომენტში, შეიძლება ითქვას, რომ არ არის მართებული და არ შეგვიძლია არ გამოვიყენოთ ზემოთ მოცემული მაგალითი, რომელიც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ეხება. თუ კანონმდებელი ჰპირდება დამნაშავეს დაუსჯელობას, მაშინ, თუ იგი სავსებით და საბოლოოდ აიღებს ხელს დანაშაულის ჩადენაზე და ამ დროს მის მიერ განხორციელებული ქმედება არ შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, მაშინ მისი დასჯა მომზადების ეტაპზე, როდესაც სუბიექტს ნებისმიერ დროს შეუძლია აიღოს ხელი დანაშაულზე, თანაც ისე რომ მას ობიექტურად საფრთხე არ შეუქმნია არცერთი სამართლებრივი სიკეთისთვის, არ არის მიზანშეწონილი.

თავი 2. დანაშაულის მცდელობა

2.1 დანაშაულის მცდელობის ცნება

დაუმთავრებელი დანაშაულის მეორე დასჯად სტადიას, რომელიც მომზადებისგან განხვავებით, უფრო საშიშ ქმედებაში გამოიხატება, წარმოადგენს დანაშაულის მცდელობა.

„დამთავრებული დანაშაული გულისხმობს დანაშაულის შემადგენლობის სრულ რეალიზაციას, მაშასადამე, იმ ზიანის განხორციელებას, რომელიც გათვალისწინებულია კანონში, როგორც დანაშაულის შედეგი. დანაშაულის მცდელობის დროს ის ზიანი, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს წარმოადგენს, არ ხორციელდება. მცდელობა მდგომარეობს ისეთი მოქმედების ჩადენაში, რომელიც ქმნის დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული ზიანის განხორციელების უშუალო საფრთხეს.“²⁷

კოდექსისეული განმარტებით, სსკ-ის მე-19 მუხლით, „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი მოქმედება, რომელიც თუმცა უშაულოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.“²⁸ „დანაშაულის მცდელობის დროს, პირს თავისი ქმედებით, რომელიც ობიექტურად უშაულოდ მიმართული იყო ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგისკენ, სუბიექტურად სურდა ამა თუ იმ ნორმით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება, ან ასეთი ქმედებით მინიმუმ შეგნებულად უშვებდა, ან გულგრილად ეკიდებოდა მის განხორციელებას, მაგრამ ობიექტურად სრულად ვერ განახორციელა მის მიერ სუბიექტურად განზრახული ქმედების შემადგენლობა. დანაშაულის მცდელობას ახასიათებს სწორედ ობიექტური მხარის ნაკლოვანება, რამეთუ სიბიექტური მხარით, ის სრულადაა მოცემული.“²⁹ დანაშაულის მცდელობის დროს ქმედებაში მომზადებისაგან განსხვავებით უკვე ნათლად და მკაფიოდ იკვეთება ის საფრთხე, რომელიც ობიექტურად დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაში გამოიხატება, ანუ მოქმედებაში და ქმნის საფრთხით რეალურ საფრთხეს, რათა დაზიანდეს სამართლებრივი სიკეთე.

²⁷ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ.46

²⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

²⁹ მ.ტურავა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-9 გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“ 2013წ. გვ.308

„ის გარემოება, რომ დამნაშავემ ჩაიდინა ისეთი ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე, ადიდებს დანაშაულებრივი შედეგის რეალური განხორციელების შანსებს, იმ მხრივ, რომ ამ მომენტიდან სუსტდება დანაშაულის ხელისშემშლელი მოტივების ძალა და პირიქით, იზრდება დანაშაულის ხელშემწყობი მოტივების ძალა.“³⁰ „ამავე დროს, მოქმედება უშუალოდ მიმართულია დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაზე, ანუ უშუალოდ წინ უსწრებს დანაშაულის დადგომის შესაძლებლობას, ამიტომ მიზეზობრივი კავშირის სხვა მიმართულებით განვითარების შესაძლებლობა, აქ გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარების სხვა, შედეგიდან უფრო დაშორებულ სტადიაზე.“³¹ თუ მომზადების სტადიაზე იქმნებოდა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების აბსტრაქტული საფრთხე, მცდელობის დროს უკვე იქმნება ობიექტური საფრთხე სამართლებრივი სიკეთის დასაზიანებლად.

„უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის მცდელობის არსი პოზიტიურ ნიშნებზე და ნეგატიურ ფაქტორებზე დაყრდნობით გაიგება. დანაშაულის მცდელობის პოზიტიურ ნიშნებში იგულისხმება სსკ-ის მე-19 მუხლში ფორმულირებული ობიექტური და სუბიექტური ნიშნები, რომელიც საფუძვლად უდევს მცდელობის დასჯდაობას. რაც შეეხება ნეგატიურ ფაქტორს, ის მე-19 მუხლის გარეთაა და გულისხმობს მიზეზებს, რომელიც ქმედების ბოლომდე განუხრციელებლობას უდევს საფუძვლად და ასეთი მიზეზები შეიძლება ჩამოვაცალიბოთ ორ ჯგუფად. პირველი, როდესაც შედეგის მიუღწევლობა განპირობებულია დამნაშავისგან დამოუკიდებელი მიზეზებით და მეორე, როდესაც შედეგი უშუალოდ დამნაშავის მიზეზით არ ხორციელდება.“³²

შედეგის მიუღწევლობა განპირობებულია დამნაშავისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო - თავის თავში მოიაზრებს ისეთ ვითარებას, როდესაც დანაშაულის ბოლომდე მიყვანა და კონკრეტული, სუბიექტურად წინასწარ განსაზღვრული შედეგი არ დგება, იმის გამო რომ მიზეზობრივ ჯაჭვში ჩნდება ისეთი გარემოება, რომელიც ხელს უშლის შედეგის დადგომას და ეს გარემოება, არ არის გამოწვეული თავად მართლსაწინააღმდეგო ქმედების ვტორის მიერ. მეორე შემთხვევა აგვიღწერს იმ გარემობას, როდესაც დანაშაულის განხორციელების შესაძლებლობას და შედეგის დადგომას თავად დამნაშავე უშლის ხელს, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს მისი

³⁰ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ. 431

³¹ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ.431

³² ლ. ხარაზაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 99

მხრიდან ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ნაკლოვანებით.

„1960 წლის სსკ-ის მიხედვით დანაშაულის მცდელობა იყო განზრახი ქმედება, რომელიც უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ შედეგი ვერ განხორციელდა დამნაშავის ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.“³³ კოდექსის ეს ჩანაწერი, გულისხმობდა იმას, რომ ქმედების დანაშაულად მცდელობით კვალიფიკაციისთვის, საჭირო იყო ისეთი ქმედება, რომელიც დამნაშავის ნებისგან დამოუკიდებლად ვერ მიაღწევდა შედეგს, რაც საკმაოდ კონკრეტიზირებული იყო და შეიძლება ითქვას, რომ სრულად ვერ აღწერდა დანაშაულის მცდელობის ბუნებას და არსს.

„დღევანდელ სისხლის სამართლის კოდექსში, ზემოთ აღნიშნული კონკრეტიზირება აღარ გვხვდება და მოქმედი კანონმდებლობა მცდელობის განსაზღვრებაში დანაშაულებრივი შედეგის მიუღწევლობის მიზეზად ზოგად დათქმას აღარ აკეთებს, რითიც ხაზს უსვამს იმას, რომ მცდელობას ადგილი აქვს ნებისმიერ შემთხვევაში და იგი არსებობს იმის და მიუხედავად, დანაშაულებრივი შედეგი ვერ განხორციელდება დამნაშავის მიზეზით თუ მისგან დამოუკიდებლად.“³⁴ მოქმედი კანონმდებლობის შინაარსს იზიარებს ასევე ო. გამყრელიძე, რომელიც წერდა, რომ, „მოქმედი კოდექსის მე-19 მუხლში, სიტყვები „დამნაშავისაგან ნების დამოუკიდებელი მიზეზები გამო“ აღარ გვხვდება, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ დანაშაულის მცდელობა ყველა შემთხვევაში გვექნება, როცა განზრახული შედეგი ვერ განხორციელდა, მიუხედავად იმისა, ვინ და რამ შეუშალა ხელი ამ შედეგის დადგომას.“³⁵

დღევანდელი სამართლის პრაქტიკიდან გამომდინარე მოქმედი კანონმდებლობის მე-19 მუხლს ბევრი მეცნიერი ემხრობა და თითქოს არც რაიმე პასუხგაუცემელ კითხვებს ბადებს, მაგრამ მაინც არსებობენ მეცნიერები, რომლებიც საკითხს სხვაგვარად განიხილავენ.

თ. ფანჯიკიძის აზრით, „დანაშაულის მცდელობის დროს, თუ არ ხერხდება დანაშაულის ბოლომდე მიყვანა დამნაშავისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მაშინ სახეზე გვაქვს მცდელობა, მაგრამ თუ დანაშაული ვერ მიდის ბოლომდე, რისი გამომწვევი მიზეზებიც თავად დამნაშავეა, მაშინ ეს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.“³⁶

თ. ფანჯიკიძის ამ ჩანაწერს ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც, მაგრამ უნდა ითქვას, რომ წმინდა სამართლებრივი კუთხით, შეუძლებელია ზემოთ მოყვანილი

³³ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, გამომც. „მერიდიანი“, 2013წ, გვ 243.

³⁴ ს. ავალიშვილი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბილისი, გვ. 37

³⁵ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, გამომც. „მერიდიანი“ 2013წ, გვ 243.

³⁶ თ. ფანჯიკიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი გამომც. „მერიდიანი“ 2003წ, გვ 58

ნააზრევის გაზიარება, რამეთუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მომენტში, დამნაშავე უნდა აცნობიერებდეს დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის და დამთავრების შესაძლებლობას და მან ამ მომენტში სავსებით და საბოლოოდ უნდა აიღოს ხელი ქმედების ბოლომდე მიყვანაზე, რაც გამომდინარეობს მისი ნებელობითი და ინტელექტუალური ელემენტებიდან, ანუ პირს სურს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება და აკეთებს ამას.

თ. ფანჯიკიძის ნააზრევიდან კი შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ავტორს შეიძლება სურდეს, ანდაც არ სურდეს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, მაგრამ მის მიერ განხორციელებულმა ქმედებებმა არ მიიყვანოს დანაშაული ბოლომდე. თუ ჩვენ ამ მოსაზრებით წავალთ, მაშინ თითოეული არასწორი მოქმედება დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად და შედეგის დასადგომად, რომელიც განხორციელა დამნაშავემ და მისი ქმედების ნაკლოვანების გამო ვერ მოხერხდა შედეგის დადგომა, უნდა ჩაითვალოს ნებაყოფლობით ხელის აღებად, რაც აზრს მოკლებულია.

„საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულია მცდელობის განსაზღვრება, დაკავშირებული დანაშაულის შემადგენლობის ცნებასთან. ზოგიერთი საბჭოთა მეცნიერის აზრით დანაშაულის მცდელობა არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემულია ამ დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი, გარდა ერთისა - შედეგისა. დანაშაულის მცდელობის ასეთი განმარტება მეტად ვიწროა და არსებითად მხოლოდ დამთავრებულ მცდელობას მოიცავს, რომლის მიხედვითაც დამნაშავემ გააკეთა ყველაფერი იმისთვის, რომ შედეგი დამდგარიყო, მაგრამ არ მოიცავს დაუმთავრებელ მცდელობას, რომლის დროსაც არ შეიძლება ითქვას რომ განხორციელდა ამ დანაშაულის ყველა ელემენტი, გარდა ერთისა - შედეგისა.“³⁷

2.2 დანაშაულის მცდელობის სახეები

ქართულ სისხლის სამართალში არსებობს მცდელობის ორი სახე, დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა. „მცდელობის ასეთ დაყოფას საფუძვლად უდევს ის გარემოება, თუ რამდენადაა დაშორებული დანაშაულის მცდელობა, დამთავრებული დანაშაულისგან. „მცდელობა დამთავრებულია, თუ სუბიექტმა გააკეთა ყოველივე, რაც მისი მხრიდან საჭირო იყო შედეგის მისაღწევად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ მიდის. მაგ: სუბიექტი თოფს ესვრის მსხვერპლს, მაგრამ ააცდინა, რის გამოც ვერ

³⁷ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ. 429

დადგა შედეგი. მცდელობა დაუმთავრებელია, თუ სუბიექტმა ჯერ კიდევ არ გააკეთა ის, რაც მისი მხრიდან საჭირო იყო შედეგის მისაღწევად. მაგ: სუბიექტი თოფს უმიზნებს მსხვერპლს, მაგრამ წაართმევენ სანამ გაისვრის.“³⁸

საბჭოთა ლიტერატურაში მრავალდ იყვნენ მეცნიერები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მცდელობის, დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობად დაყოფას და მოჰყავდათ სხვადასხვა მოსაზრებები.

„პირველი იყო ის, რომ ასეთი დაყოფა არ იყო გამოწვეული მცდელობის მოქმედებათა ბუნებით, რამდენადაც მცდელობის მოქმედებანი წარმოადგენენ დანაშაულის აღმასრულებელ ერთიან და განუყოფელ მოქმედებებს. ამ მოქმედებათა ყოველი ნაწილი, ერთნაირად აუცილებელია დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად და ერთნაირ დამოკიდებულებაშია დანაშაულის შემადგენლობასთან. მეორე მოსაზრება იყო ის, რომ მეცნიერთა აზრით, მცდელობის მოქმედება მეტ წილად წარმოადგენს ერთს და თანაც იმდენად სწრაფად მიმდინარე აქტს, რომ დასაწყისი და დასასრულის გაყოფა ძალიან რთული იყო და ბოლოს დაყოფას იმიტომ არ ქონდა მნიშვნელობა, რომ ორივე შემთხვევაში დანაშაული არ ხორციელდებოდა ბოლომდე, ამიტომ არანაირი მნიშვნელობა არ ქონდა მცდელობის სახეებად დაყოფს.“³⁹

შესაძლოა გარკვეული ადამიანთა ჯგუფისთვის ეს მოსაზრებები საკმაოდ მარტივი და მისაღები იყოს, მაგრამ საერთო ჯამში ვერ დავეთანხმებით, რამეთუ „სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს, მხედველობაში უნდა მიიღოს, სხვა გარემოებებთან ერთად დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხი, რის დასადგენადაც საჭიროა გავიგოთ დაამთავრა, თუ არა პირმა მცდელობა.

„თუ პირი იმყოფება დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე, აქ უფრო მეტი შანსია მიზეზობრივ ჯაჭვში ჩაერიოს რაიმე შემაფერხებელი ძალა, რომლებიც აიცილებენ დანაშაულის ბოლომდე მიყვანას, ხოლო დამთავრებული მცდელობის დროს ასეთი შემაფერხებელი ძალა აღარ გვაქვს.“⁴⁰

„დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის გამიჯვნა ერთმანეთისგან გასათვალისწინებელია სამოსამართლო პრაქტიკაში, სასჯელის დანიშვნისას, რამეთუ „მოსამართლემ კანონის ფარგლებში დაუმთავრებელი მცდელობისას, უფრო ნაკლები სასჯელი უნდა დანიშნოს, ვიდრე დამთავრებული მცდელობისას, რადგან

³⁸ მ. ლომსაძე - „საქართველოს სიხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (მეორე შვესებული და გადამუშავებული გამოცემა)“; თბილისი. 2014. იხ. გვ 68

³⁹ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ. 454-455

⁴⁰ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ. 455

სისხლის სამართლის კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს, უფრო ნაკლები საფრთხე ექმნება დაუმთავრებელი მცდელობისას.⁴¹

2.2.1 უვარგისი მცდელობა

დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობასთან ერთად, იურიდიულ ლიტერატურაში შეიძლება გამოვყოთ მცდელობის მესამე სახე, რომელსაც უვარგისი მცდელობა ეწოდება და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხს, რომლის გარშემო არაერთი მოსაზრება ტრიალებს და მეცნიერთა სხვადასხვა ჯგუფები, მას სხვადასხვანაირად განმარტავენ.

უვარგისი მცდელობაში გამოყოფენ ოთხ სახეს: უვარგისი საშუალებით მცდელობა; მცდელობა უვარგისი ობიექტზე; მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ; მცდელობა უვარგისი საგნით.

უვარგისი საშუალებით მცდელობა - როდესაც საუბარი გვაქვს უვარგისი საშუალებაზე, მასში მოიაზრება უვარგისი საშუალებით მცდელობა და აბსოლიტურად უვარგისი საშუალებით მცდელობა. „უვარგისი საშუალებით მცდელობა, თავის თავში გულისხმობს მცდელობის ისეთ სახეს, როდესაც სუბიექტი დანაშაულის ჩასადენად იყენებს ისეთ საშუალებას, რომელსაც კონკრეტულ ვითარებაში, თავისი თვისებებით, ობიექტურად არ შეუძლია შედეგის დადგომა. მაგ: იარაღი, რომელშიც ტყვია არ დევს. რაც შეეხება აბსოლიტურად უვარგისი მცდელობას, ასეთ დროს დანაშაულის ჩასადენად ხდება ისეთი საშუალების გამოყენება, რომელსაც არცერთ ვითარებაში, არცერთი გარემოების დროს, არ შეუძლია მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება.“⁴² მაგ: ჯადოს გაკეთება.

მცდელობა უვარგისი ობიექტზე - გულისხმობს მცდელობას ისეთ ობიექტზე, რომელსაც ვერ მიაღებოდა ზიანი მისი ბუნების და მახასიათებლების გამო. „სისხლის სამართლის ლიტერატურაში ამგვარ მცდელობას უწოდებენ მცდელობას „უვარგისი საგანზე“ ან „მცდელობას არარეალურ ობიექტზე“. უვარგისი ობიექტზე მცდელობისას, ხელმეოფი მცდარად აღიქვამს თადასხმის ობიექტს. მაგ: პეტრემ გაიტაცა საბრძოლო მასალა, რომელიც სინესტისგან აბსოლიტურად გამოუსადეგარი იყო.“⁴³

მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ - წარმოადგენს მცდელობის ისეთ სახეს, რომლის დროსაც დანაშაულის ჩასადენად ხდება არასწორი სუბიექტის შერჩევა,

⁴¹ ი. დვალაძე, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, 2013წ. გვ. 164

⁴² „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2007წ. გვ. 167

⁴³ ი. ხ. იქვე გვ. 166

რომელსაც კონკრეტულ შემთხვევაში არ შეუძლია დანაშაულის განხორციელება. მაგ: ბანკის დამლაგებელი მოვისყიდოთ, რათა მოგვცეს სეიფის კოდები.“⁴⁴

მცდელობა უვარგის საგნით - „თავის თავში მოიაზრებს ისეთ მცდელობას, რომლის განხორციელების დროსაც ხდება ისეთი საგნის გამოყენება, რომელიც ვერანაირად ვერ იქნება შედეგის მომტანი კონკრეტულ დანაშაულში. მაგ: ისეთი იარაღის გამოყენება მკვლელობის ჩასადენად, რომელსაც სასხლეტი აქვს გაფუჭებული.“⁴⁵

სისხლის სამართლის ღრმა ისტორიული რაკურსიდან ჩანს, რომ ზოგიერთი საბჭოთა მეცნიერი, უვარგისი მცდელობის ცალკე გამოყოფის წინააღმდეგი იყო, „რადგან ე.წ. „უვარგისი მცდელობის“ ბუნება, იგივეა, რაც დანაშაულის ყოველი სხვა მცდელობა და ეს მცდელობაც წარმოადგენს დანაშაულის განზრახ შესრულებას, რომელიც არ დაბოლოვდა სუბიექტის მიერ განზრახული დანაშაულებრივი შედეგით, მასზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მხოლოდ ე.წ. „უვარგისი მცდელობის“ დროს, დანაშაულებრივი შედეგის განუხორციელებლობის მიზეზს წარმოადგენს სუბიექტის ფაქტობრივი შეცდომა ხელყოფის საგანსა და საშუალებაში, მაგრამ ასეთი დეტალი საფუძველს არ გვადლევს იმისას, რომ ასეთი მცდელობა გამოვყოთ ცალკე სახედ.“⁴⁶

სუბიექტური თეორიის წარმომადგენლები, ფიქრობენ, რომ „ნებისმიერი სახის მცდელობა უნდა დახასიათდეს მხოლოდ სუბიექტური ნიშნებით და მოითხოვენ უვარგისი მცდელობის დასჯადობასაც, რადგან განხორციელებულ ქმედებაში მკაფიოდაა გამოკვეთილი სუბიექტური ნიშნები“⁴⁷

გარკვეულ წილად, ლოგიკურია სუბიექტური თეორიის მიმდევრების შეხედულებები უვარგისი მცდელობასთან დაკავშირებით, რადგან თითოეული ქმედების დროს, რომელიც ეხება სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას, დანაშაულის არსის გამოკვლევისას, მხედველობაში ობიექტურ მხარესთან ერთად, მიიღება სუბიექტური ნიშნებიც. უვარგისი მცდელობის დროს შესაძლოა სუბიექტმა დანაშაულის ჩასადენად გამოიყენა ისეთი საშუალება, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა არ შეეძლო, ანდაც დანაშაულებრივი ქმედება მიმართა ისეთ ობიექტზე, რომელსაც ზიანი ვერანაირად ვერ მიადგებოდა, მაგრამ იმის მიუხედავად, მიადგა თუ არა სისხლის სამართლის კანონით დაცულ

⁴⁴ ე. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომც. „მერიდიანი“ თბილისი, 2011წ, გვ. 55

⁴⁵ ⁴⁵ ე. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომც. „მერიდიანი“ თბილისი, 2011წ, გვ. 55

⁴⁶ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ. 460-461

⁴⁷ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ. 461

სამართლებრივ სიკეთეს ზიანი, სახეზე გვაქვს სუბიექტური განწყობა, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩასადენად და არ გვაქვს არანაირი გარანტია იმისა, რომ პირი, რომელმაც უმეცრების გამო ვერ შეძლო დანაშაულის ჩადენა, შემდეგში არ შეეცდება კანონით დაცული სიკეთის ხელყოფას უკვე ვარგისიანი საშუალებით. „უვარგისი მცდელობის დასჯადობა მარტივია მცდელობის სუბიექტური თეორიისთვის, მაგრამ ამის დასაბუთება რთულია ობიექტური თეორიის საფუძველზე, რადგან ქმედების განხორციელების შემდეგ დგინდება, რომ დანაშაულის განხორციელების კონკრეტული საფრთხე საერთოდ არ არსებობდა.“⁴⁸ ობიექტური თეორიის წარმომადგენლები თვლიან, რომ დანაშაულის დასჯადობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს რეალური და ობიექტური პირობების შექმნა, რათა მოხდეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. უვარგისი მცდელობის პირობებში, დაცულ სამართლებრივ სიკეთეს, ობიექტურად ვერ ექმნება დაზიანების საფრთხე, ანუ საფრთხე არაა რეალური, ამიტომ უვარგისი მცდელობის გაიგივება ჩვეულებრივ მცდელობასთან არ არის მიზანშეწონილი და არც მისი ჩვეულებრივი მცდელობისავით დასჯა იქნება სამართლიანი. ობიექტური თეორიის მიმდევრები თვლიან, რომ უვარგისი მცდელობის შემადგენელი ნიშნები, ძალიან დიდი მანძილითაა დაშორებული მართლსაწინააღმდეგო შედეგთან, ამიტომ მისი დასჯადობა არ იქნება სწორი. როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, უვარგისი მცდელობა თავის მხრივ იყოფა აბსოლიტურად უვარგის და შეფარდებით უვარგის მცდელობად. „აბსოლიტურად უვარგის მცდელობად ითვლება ისეთი მცდელობა, რომელსაც არავითარ შემთხვევაში, არცერთ გარემოებაში არ შეუძლია გამოიწვიოს განზრახული დანაშაულებრივი შედეგი. რაც შეეხება შეფარდებით უვარგის მცდელობას, ასეთ დროს არჩეულ საშუალებას, ან ობიექტს, შეუძლია ზოგადად დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა, მაგრამ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლებელია დანაშაულებრივი შედეგის მიღწევა.“⁴⁹

„სისხლის სამართლის ლიტერატურაში, შეფარდებით უვარგისი საშუალების საილუსტრაციოდ ასახელებენ ისეთ შემთხვევებს, როდესაც დამნაშვე მკვლელობის ჩასადენად იყენებს იარაღს, საიდანაც ვაზნა ამოღებულია, ანდაც იგი მკვლელობის ჩასადენად იყენებს უვნებელ ფხვნილს, რომელიც საწამლავი გონია, თუმცა ზოგიერთი სისხლის სამართლის მეცნიერი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებულ

⁴⁸ მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გვ45

⁴⁹ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი“. თბილისი. 2007წ. გვ. 473

ასეთ საშუალებებს, აბსოლიტურად უვარგის საშუალებებთან აიგივებს.⁵⁰ მეცნიერთა ამ ჯგუფის შეხედულება არაა მართებული, რამეთუ პირობითად იარაღი, მიუხედავად იმისა, იქნება მასში ვაზნა თუ არა, ხასიათდება, როგორც დანაშაულის ჩასადენი საშუალება, ამიტომ მისი მიკუთვნება აბსოლიტურად უვარგის საშუალებას, არ იქნება მართებული, რამეთუ იარაღს ნებისმიერ დროს შეუძლია უვარგისი საშუალებიდან, გადაიქცეს ვარგისიან საშუალებად და მიაყენოს ზიანი სამართლებრივ სიკეთეს.

სსკ-ის მე-20 მუხლის თანახმად, „პირს არ დაეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისთვის ან მცდელობისთვის, თუ მისი უმეცრების ან პიროვნული ნაკლის გამო, დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლებოდა მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი.“⁵¹

კანონის ნორმაში საუბარია უვარგის საშუალებაზე, მაგრამ არ არის მინიშნება აბსოლიტურად უვარგის საშუალებაზე. აბსოლიტურად უვარგის საშუალებად კონკრეტული დანაშაულისთვის, მაგალითად მკვლელობისთვის შეიძლება ჩაითვალოს სათამაშო იარაღი, რომელსაც არცერთ ვითარებაში და არცერთი გარემოების არსებობისას, არ შეუძლია ხელყოს ვინმეს სიცოცხლე, ანდაც ჯანმრთელობა. მაგრამ მეორე საკითხია თუ რა შედეგის გამოწვევა შეუძლია სათამაშო იარაღს სხვა დანაშაულების დროს, მაგალითად ყაჩაღობის დროს, რა დროსაც ხდება დამნაშავის მიერ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრება, რომელსაც თან სდევს სიცოცხლისთვის საშიში და რეალური მუქარა.

თუ ყაჩაღობა ხორციელდება სათამაშო იარაღით, რომელსაც დაზარალებული აღიქვამს როგორც რეალურ საფრთხეს, რომელსაც შეუძლია მისი ჯანმრთელობის დაზიანება, ანდაც სიცოცხლის ხელყოფა, რატომ არ შეიძლება ჩაითვალოს საკმაოდ ვარგისიან საშუალებად დანაშაულის მისაღწევად?

აღნიშნული ხარვეზი არის სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლის ნაკლოვანებიდან გამომდინარე. ამ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად საჭიროა განისაზღვროს მე-20 მუხლის პირობები და ფარგლები. „იმისთვის, რათა მე-20 მუხლი იქნეს გამოყენებული, აუცილებელია, რომ ერთდროულად მხედველობაში იქნეს მიღებული, როგორც ქმედების ჩადენის დროს გამოყენებული საშუალების უვარგისობის მომენტი, ასევე ქმედების ჩამდენის უმეცრების, ან სხვა პირველი ნაკლის მომენტი.“

2.3 დანაშაულის მცდელობის სუბიექტური მხარე

⁵⁰ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 263

⁵¹ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“

თითოეულ დანაშაულებრივ მოქმედებას, სანამ იგი უშუალოდ ობიექტურად რეალიზირდება, წინ უსწრებს სუბიექტური მხარე. სწორედ ამიტომ, საჭიროა ჯერ დადგინდეს დანაშაულის სუბიექტური მხარე, ხოლო ამის შემდეგ, უნდა განიხილოს ობიექტური მხარე.

სუბიექტური ნიშნებით დანაშაულის მცდელობა არის განზრახვი მოქმედება. ქართული სისხლის სამართალში გაბატონებულია ის მიმდინარეობა, რომ დანაშაულის ცდა გულისხმობს პირდაპირ განზრახვას, ანუ სუბიექტს სურს რაიმეს ცდა და იგი პირდაპირი განზრახვით აკეთებს მას. განზრახვის პირდაპირობაზე ასევე ხაზია გასმული სსკ-ის მე-19 მუხლში, სადაც მითითებულია „განზრახ ქმედებაზე, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად“ - კანონში ჩაწერილი ასეთი ფრაზა პირდაპირ ამბობს, რომ მცდელობა აუცილებლად უნდა იყოს პირდაპირი განზრახვით, მაგრამ რამდენადაა ეს სწორი მიდგომა და რამდენად შეეფერება დამნაშავის სუბიექტურ განწყობას, კონკრეტულ დანაშაულებში, ეს განხილვის საკითხია.

ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში გაბატონებული თოერია, თითქოს მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით უნდა განხორციელდეს, ბადებს უამრავ ეჭვს, დამნაშავის ფსოქოლოგიური ანალიზის ფონზე. არსებობს არაერთი დანაშაული და არაერთი მაგალითი, სადაც დამნაშავე დანაშაულს ჩადის არა პირდაპირი განზრახვით, არამე არაპირდაპირი განზრახვით. მაგ: ერთ-ერთი სექტის წარმომადგენელმა გადაწყვიტა გადმომხტარიყო თავის შვილთან ერთად საცხოვრებელი კორპუსიდან, იმ იმედით, რომ ისინი ცრუ რწმენის ძალის შედეგად გაფრინდებოდნენ. მშობლემ საკუთარი ჩანაფიქრის განხორციელებისას, ბავშვი გადმოაგდო კორპუსიდან, რომელიც სარეცხი თოკების წყალობით გადარჩა, ხოლო მშობელს მეზობლებმა არ მისცეს გადმოხტომის საშუალება. ამ შემთხვევაში ქმედებას თუ სუბიექტური კუთხით მივუდგებით, არ გვაქვს არანაირი პირდაპირი განზრახვა, რომელიც ეხება მკვლელობის მცდელობას, რადგან მშობელი არცერთი წამით არ უშვებდა, არც მისი და არც მისი ბავშვის დალუპვას და სწამდა რომ გაფრინდებოდნენ. „როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ განზრახვაზე, აუცილებელია ვნახოთ სსკ-ის მე-9 მუხლი, რომლის თანახმადაც განზრახვა უნდა მოიცავდეს ცოდნას, ნებელობას და მართლწინააღმდეგობის შეგნებას...“⁵² ცოდნაში მოიაზრება ინტელექტუალური ელემენტი, რაც თავის თავში გულისხმობს იმის ცოდნას, თუ რის ჩადენას აპირებს დამნაშავე და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის ქმედებას. ნებელობით ელემენტში, საჭიროა დამნაშავეს სურდეს ამის გაკეთება და ყველაფერი ხდებოდეს მისი ნების მიხედვით და არა მის საწინააღმდეგოდ. რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის

⁵² მ.ტურავა, სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, გამომც. „მერიდიანი“ 2013წ. გვ. 130

შეგნებას, იგი თავის თავში გულისხმობს იმას, რომ დანაშავე უშვებს დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობას და იცის მისი უკანონობის შესახებ, რომელიც განიხილება ბრალის ეტაპზე. სწორედ ამ ყველაფრის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელია საუბარი იმაზე, რომ დანაშაული ჩადენილ იქნა პირდაპირი განზრახვით, მაგრამ არსებობს უამრავი შემთხვევა, როგორც წინა მაგალითიდან ჩანდა, როდესაც მოქმედებაში არცერთი ელემენტი არ იყო წარმოდგენილი, რომელსაც პირდაპირი განზრახვის კვალიფიკაციაში უნდა მიეღო მონაწილეობა. იმის მიუხედავად, რომ ქართული სისხლის სამართალი კოდექსისეული ენით მთლიანად გამორიცხავს არაპირდაპირ ანუ ევენტუალურ მცდელობას, ბოლო პერიოდში ევენტუალური განზრახვა არ კარგავს აქტუალობას ქვეყანაში და ყველაფერი მიდის იმისკენ, რომ ადრე თუ გვიან საკანონმდებლო ტექსტის განმარტებებში ევენტუალური განზრახვაც მოიკიდებს ფეხს.

ევენტუალური განზრახვა, არის ორი სახის:

„1. როდესაც პირი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს მის დადგომას;

2. პირი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურს, მაგრამ გულგრილად ეკიდება მის დადგომას.“⁵³

მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის აზრით მცდელობის ევენტუალური ბუნება პირდაპირ ეწინააღმდეგება სსკ-ის მე-19 მუხლს, რომელიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე, მცდელობის მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ფორმულირებას ახდენს.

„არაპირდაპირი განზრახვით, რომ მცდელობა არ შეიძლება, ამან კანონმდებელი აიძულა კოდექსის კერძო ნაწილში შემოეტანა საფრთხის შემქნელი დელიქტები, რომლებიც ავსებენ იმ ხავრეზებს, რომელიც არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობით წარმოიშვა.“⁵⁴

დანაშაულის მცდელობის ბუნებასთან დაკავშირებით, როგორც უკვე აღინიშნა არსებობს ორი დაპირისპირებული მხარე, რომელთაგან ერთი თვლის, „რომ დანაშაული შესაძლოა ჩადენილი იქნას ევენტუალური განზრახვით, ხოლო მეორენი თვლიან, რომ დანაშაულის ჩადენა არის წმინდა სემანტიკური ხასიათის და შეუძლებელია იმის ცდა, რის მისაღწევადაც არაფერს გააკეთებ და სიტყვა, მცდელობა, თავის თავშივე პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის არაპირდაპირ განზრახვასთან. მცდელობის არსს ისინი მიზანმიმართულ საქმიანობაში ხედავენ, რაც მხოლოდ პირდაპირი განზრახვისთვის არის დამახასიათებელი. მათი

⁵³ ს.ავალიშვილი, დანაშაულის მოზადება და მცდელობა, თბილისი, გვ. 49

⁵⁴ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, თბილისი, „გამომც“ მერიდიანი, 2013წ, გვ 245

დასაბუთებით, მცდელობის კრიმინალიზების მიზანი, არის არა მხოლოდ ის, რაც უკვე დააზიანა პირმა, არამედ უფრო მეტის დაზიანების ტენდენციის ქონა. მიზანმიმართულობა და შედეგისკენ სწრაფვა არაპირდაპირი განზრახვისთვის კი დამახასიათებელი არაა.⁵⁵ ანალოგიურ აზრს ანვითარებენ სისხლის სამართლის ის მეცნიერები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ „კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში 117-ე მუხლის (ჯანმრთელობი განზრახ მძიმე დაზიანება) შემოღებით არ გაიზიარა არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა. თავიანთ პოზიციას ისინი ასაბუთებენ იმით, რომ ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების მომენტში, დამნაშავეს მიერ დაზარალებულისთვის მიყენებული სიცოცხლისთვის საშიში დაზიანება, რომელიც წარმოშობს სიკვდილის საშიშროებას, შეგნებული აქვს დამნაშავეს. ამდენად იგი მოქმედებს არაპირდაპირი განზრახვით. აქდან გამომდინარე, სისხლის სამართლის მეცნიერები სხვავენ საკითხს იმის შესახებ, რომ თუ დასაშვებია ევენტუალური განზრახვით მცდელობა, მაშინ რატომ დასჭირდა კანონმდებელს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის შემადგენლობაში სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებაზე მითითება.“⁵⁶

როგორც უკვე ავლინებთ, სისხლის სამართლის პრაქტიკაში თანდათანობით მკვიდრდება ევენტუალური განზრახი დანაშაულის არსებობის შესაძლებლობა და არაერთი მეცნიერი უკვე აღიარებს, რომ შესაძლებელია მცდელობა მოხდეს არაპირდაპირი განზრახვით და ამ იდეის მთავარი მხარდამჭერია მ. ტურავა, რომელსაც ამ პოზიციის გასამყარებლად შემოაქვს „ნორმატიული სურვილის ცნება“, რაც არის ნებელობის ფართო გაგება.

ტურავას აზრით „დანაშაულის მცდელობის განზრახვა ორივე სახით არის შესაძლებელი და ამბობს, რომ თუ პირდაპირი განზრახვისას, მცდელობის დროს პირს აქვს შედეგის მიმართ სურვილი, ევენტუალური განზრახვის დროს ნებელობითი ელემენტი შედეგის მიღწევის სურვილით არ უნდა იყოს მოცული.“⁵⁷ მ. ტურავას მიაჩნია, „რომ სსკ-ის 117-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის დანიშნულებას არ წარმოადგენს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობით გამოწვეული ხარვეზის შევსებას, რადგან მართალია დამნაშავე განზრახ მოქმედებს, მაგრამ სიცოცხლის ხელყოფის მიმართ დამნაშავეს ევენტუალური განზრახვაც არ გააჩნია და სასიკვდილო შედეგის მიმართ დამოკიდებულება მხოლოდ გაუფრთხილებლობითია, ამიტომ ამ მუხლით

⁵⁵ თ. გეგელია „დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები“ თბილისი. 2018წ. გვ. 106

⁵⁶ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 157

⁵⁷ მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011 გვ 287

კანონმდებელი ცდილობს გაუფრთხილებლობისა და თვითიმედოვნების დასჯას და არა ევენტუალური განზრახვით დანაშაულის ჩადენის გამორიცხვას.⁵⁸

ამ აზრს იზიარებს თ. დონჯაშვილი, რომელსაც მოჰყავს შემდეგი მაგალითი: „პირი დგას ქალაქის ცენტრში და ისვრის იარაღს, მას არავის დაზიანება არ სურს, მაგრამ ტყვია შემთხვევით ხვდება გამვლელ ქალს, რომელიც დროული სამედიცინო დახმარების შედეგად გადარჩა - ეს ქმედება უნდა შეფასდეს როგორც ევენტუალური განზრახი დანაშაული და დაკვალიფიცირდეს, როგორც მკვლელობის მცდელობა ევენტუალური განზრახვით, ხოლო თუ ჩვენ გამოვრიცხავთ ევენტუალური განზრახვის არსებობას, მაშინ ქმედების კვალიფიკაცია მოხდება, როგორც ჯანმრთელობის მიმე დაზიანება პირდაპირი განზრახვით, რაც თავისთავად არ წარმოადგენს დამნაშავის სუბიექტური განწყობილებას.“⁵⁹

„არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის მომხრეთა არგუმენტები ეფუძვნება ასევე კანონმდებლის ისტორიულ ნებას, რომელიც იმით აიხსნება, რომ სისხლის სამართლის კოდექსზე მომუშავე სარეფორმო კომისიამ, პარლამენტს წარუდგინა სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, სადაც პირდაპირ ეწერა, რომ დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, თუმცა ამის შემდეგ, კოდექსის მიღების დროს, ეს ჩანაწერი ამოღებული იქნა კოდექსის პროექტიდან, რაც რა თქმა უნდა იმას ადასტურებს, რომ კანონმდებელმა უარი თქვა ევენტუალური განზრახვის დროს დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის შეზღუდვაზე.“⁶⁰

დაკვანის სახით, შეიძლება ითქვას, რომ თითოეული ჯგუფის არგუმენტები და მოსაზრებები, მცდელობის ევენტუალური განზრახვის არსებობა-არარსებობის თაობაზე, საკმაოდ დასაბუთებული და ლოგიკურია, მაგრამ საბოლოო ჯამში უფრო მეტად სამართლიანი იქნება მივემხროთ იმ აზრს, რომელიც უშვებს ევენტუალური განზრახვით ჩადენილ მცდელობას, რამეთუ თითოეული დანაშაულის განსახილველად და სწორი კვალიფიკაციისთვის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სუბიექტური მხარე, რაზე დაყრდნობითაც არანაირ ეჭვს არ ბადებს ის ფაქტი, რომ დანაშაულის მცდელობა სავსებით შესაძლებელია მოხდეს ევენტუალური განზრახვით.

⁵⁸ მ.ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება 298-304

⁵⁹ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, გამომც.

„მერიდიანი“, 2007წ, გვ. 2007 გვ 225

⁶⁰ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 161.

მ.ტურავა, სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, გამომც. „მერიდიანი“ 2013წ. გვ. 139

პრაქტიკაში არსებობს უამრავი მაგალითი და ქეისი, რომლის სრულფასოვანი ანალიზით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამნაშავეს დანაშაულის მცდელობის დროს არ გააჩნდა პირდაპირი განზრახვა, რადგან იგი მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვის ფარგლებში, ამიტომ, იმის თქმა, რომ დანაშაულის მცდელობის ბუნება მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება მოხდეს, არ წარმოადგენს რეალურ სურათს. ამასთან ერთად სისხლის სამართლის კოდექსი არ გვაძლევს ზუსტ და იმპერატიულ განმარტებას, იმის შესახებ, არის თუ არა დასაშვები ევენტუალური განზრახვით მცდელობა, ამიტომ თავად ნორმა არის ასევე ბუნდოვანი და შესაძლებელია მასში ასევე გაგებულ იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვაც.

უნდა აღინიშნოს ასევე ის ფაქტიც, რომ მცდელობის ევენტუალური ბუნების გამორიცხვა არ იქნება სამართლის აღსრულებისთვის მიზანშეწონილი, რამეთუ შესაძლებელია დამნაშავემ ბოროტად გამოიყენოს ეს ფაქტი, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში ვერ ხერხდება განზრახვის სახის დადგენა, რა დროსაც სასამართლო მოქმედებს ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპით, რა დროსაც შესაძლებელია დამნაშავეს შეუმსუბუქდეს სასჯელი და თავი დააღწიოს განზრახვით ჩადენილი მცდელობის სასჯელს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ მკვლელობის მცდელობა პირდაპირი განზრახვით, რა დროსაც შესაძლებელია სამართალშემფარდებელმა ვერ დაადგინოს დამნაშავეს სუბიექტური ბუნება, დანაშაულის არსი და მკვლელობის მცდელობის ნაცვლად მოხდეს საქმის სსკ-ის 127-ე მუხლით კვალიფიკაცია, რაც გულისხმობს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებას. ბუნებრივია ეს არ იქნება სწორი კვალიფიკაცია, რასაც მოჰყვება ასევე არასამართლიანი სასჯელი, რისი საწინდარიც იქნება ის, რომ ვერ დადგინდა სუბიექტური მხარე. ასეთ შემთხვევაშია სწორედ საჭირო ევენტუალური განზრახვი დანაშაული, რისი სასამართლო პრაქტიკაში დანერგვითაც, ზემოთ ხსენებული კაზუსის კვალიფიკაცია არა სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, არამედ განზრახ მკვლელობის მცდელობა იქნება,

2.4 დანაშაულის მცდელობის ობიექტური მხარე

დანაშაულის არსის გასაგებად და შემდეგ მისი სწორად კვალიფიკაციისთვის მცდელობის სუბიექტურ მხარესთან ერთად, აუცილებელია კარგად გავიგოთ და გავიაზროთ დანაშაულის მცდელობის ობიექტური ნიშნები.

ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკაში, გაბატონებულია ე.წ. „ობიექტური თეორია“, რომლის მომხრეთაგან გამოსარჩევია თ. წერეთელი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ობიექტური თეორიის დამკვიდრებაში. თ. წერეთელი „დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საფუძველს ობიექტურ თეორიაში ხედავს და მცდელობად მიიჩნევს ისეთ მოქმედებას, რომელიც ამა თუ იმ ობიექტისთვის, დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული ზიანის განხორციელების უშუალო საფრთხეს ქმნის, რაშიც სწორედ ობიექტური მხარის ნიშნები მოიაზრება.“⁶¹ „დანაშაულის მცდელობის ქმედების ობიექტური შემადგენლობისას, პირის მიერ ხორციელდება განზრახი ქმედება, რომელიც პირდაპირ და უშუალოდ მიმართულია დანაშაულებრივი საქმიანობის ჩასადენად და იგი ორიენტირებულია შედეგზე, მაგრამ მისი ნაკლოვანების გამო შედეგი ვერ დგება.“⁶²

თ. წერეთლის აზრით, „დანაშაულის მცდელობის ერთ-ერთ ობიექტურ ნიშანს წარმოადგენს ქმედება, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს, როგორც მოქმედებას, ასევე დანაშაულებრივ უმოქმედობასაც.“⁶³

„უმეტეს შემთხვევაში დანაშაულის ჩადენა ხდება მოქმედებით, ანუ პირს სურს დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელება და ანხორციელებს მას, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი მატერიალური დანაშაულის მცდელობა ჩადენილი იყოს უმოქმედობითაც და ამის მაგალითია დედა, რომელიც განზრახ მკვლელობის მიზნით არ აწოვებს ძუძუს მცირეწლოვან ბავშვს, მაგრამ სხვა, მესამე პირების ჩარევის შედეგად და დროული რეაგირებით, ბავშვი გადარჩება. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს განზრახ მკვლელობის მცდელობა უმოქმედობით. უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა უმოქმედობის დროს, ნებისმიერი დანაშაულის მცდელობა, არის შეუძლებელი.“⁶⁴

„დანაშაულის მცდელობა გვექნება იმ შემთხვევაში, თუ პირმა ჩაიდინა მოქმედება, რომელიც მისივე მხრივ რაიმე ახალი მოქმედების განხორციელების გარეშე უნდა მოჰყოლოდა დანაშაულებრივი შედეგი, მაგრამ აღნიშნული შედეგი არ დადგა.

⁶¹ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ. 521-522

⁶² მ.ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება 2013 გვ. 313

⁶³ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ. 525

⁶⁴ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, გამომც. „მერიდიანი“, 2007წ. გვ. 221

მაგ: გიორგიმ თოფი ესროლა ნიკას, მაგრამ ვერ მოახვედრა და შედეგი არ დადგა.“⁶⁵
„დანაშაულის მცდელობა იქნება ასევე მაშინ, როდესაც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ავტორი, თავს დაესხა ხელყოფის ობიექტს და შეუდგა განზრახვის განხორციელებას, მაგრამ დამნაშავემ ვერ დაამთავრა მოქმედება. მაგ: გაძრაცვის მიზნით, პირმა ხელი სტაცა მგზავრის ჩემოდანს, მაგრამ მისი დაუფლება ვერ შეძლო, რადგან ნივთის მფლობელი გაუძალიანდა.“⁶⁶

„მცდელობა გვექნება სახეზე მაშინაც, როდესაც დამნაშავემ მოამზადა უკვე ყველაფერი დანაშაულის ჩასადენად და დაიწყო კიდეც ქმედების სისრულეში მოყვანა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. მაგ: დამნაშავემ იარაღი დაუმიზნა სუბიექტს, მაგრამ სროლის მომენტში, მესამე პირმა ხელი აუკრა იარაღზე.“⁶⁷

„მცდელობა ასევე სახეზე, როდესაც დამნაშავემ შეასრულა ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანი მაინც. მაგ: დამნაშავემ ხელ-ფეხი შეუკრა დაზარალებულს, მისი გაუპატიურების მიზნით, მაგრამ გარე ძალების მოქმედებით ვერ მიიყვანა შედეგი ბოლომდე - აქაც გვექნება გაუპატიურების მცდელობა, რადგან ობიექტური მხარე გარკვეული დოზით უკვე შესრულებულია.“⁶⁸

„მცდელობა ასევე ისეთი მოქმედება, როდესაც დამნაშავეს ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ქმედებას არ მოჰყვა მართლსაწინააღმდეგო შედეგი - ასეთი შეიძლება იყოს დამნაშავეს დაკავება.“⁶⁹

ზემოთ ხსენებული თითოეული მოქმედებისათვის დამახასიათებელია ის, რომ სისხლის სამართლის კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს გააჩნია ზიანის მიყენების საფრთხე და უშუალო დანაშაულებრივი შედეგი არ დგება დამნაშავეს მოქმედების ნაკლოვანების, ან გარე ძალების ჩარევის შედეგად, ანუ დაზარალებულები განიცდიან რეალურ საფრთხეს.

„თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკაში გაბატონებული პოზიცია უკავია „სოციალურ თეორიას“, რომელიც სოციალურ არსს ანიჭებს უპირატესობას და გამოიხატება ადამიანის ბატონობის ქვეშ მოქცეულ, ან მოქცევად სოციალურად მნიშვნელოვან ქცევაში, ანუ ეს თეორია მოქმედებას ანიჭებს უპირატესობას, რომელიც გამოხატულია ქცევაში.“⁷⁰ „ამ თეორიას ჰყავს ბევრი წარმომადგენელი და მას განმარტავენ, როგორც სოციალურად მნიშვნელოვან ადამიანის ქცევას. ქცევა

⁶⁵ თ.დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, გამომც „მერიდიანი“, 2007წ. გვ. 221

⁶⁶ იხ. იქვე გვ. 221

⁶⁷ თ.დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, გამომც „მერიდიანი“, 2007წ. გვ. 222

⁶⁸ იხ. იქვე გვ. 222

⁶⁹ იხ. იქვე გვ. 222

⁷⁰ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 191

თავის მხრივ იყოფა სუბიექტურ და ობიექტურ სახეებად. სუბიექტური მხარე განსაზღვრავს პირის მიზანს, ხოლო ობიექტური მხარეში გვაქვს პირის სურვილის გარეგანი გამოძღვანება მოქმედებით ან უმოქმედობით. ქცევას აუცლებელია ქონდეს ნებელობა და არ იყოს რეფლექსური.“⁷¹

„ქცევას, რომელსაც არ გააჩნია ნებელობა სისხლისამართლებრივად ირელევანტურია. მაგალითად რეფლექსური მოძრაობა, სისხლსამართლებრივი ინტერესის საგანს არ წარმოადგენს, რადგან ამ დროს ნებელობა სრულებით გამორიცხულია. ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი აგრეთვე დაუძლეველი ძალის პირობებში. მაგ: ყაჩაღებმა ჩაკეტეს დედა სარდაფში, რის გამოც მას არ ქონდა შესაძლებლობა დახმარებოდა განსაცდელში ჩავარდნილ საკუთარ შვილს. განვიხილოთ ამ ვითარებისგან განსხვავებული სხვა შემთხვევა, როდესაც კონკრეტული პირი, იარაღის მუქარით აიძულეს საწამლავი შეეყვანა მეორე პირისთვის ვენაში, რომელიც ძლიერი ორგანიზმის წყალობით გადარჩა. შესაძლოა ამ შემთხვევაში ჩვენ გვქონდეს სუბიექტის მიერ გამოვლენილი ობიექტური შემადგენლობა, რაც მოიცავს მკვლელობის მცდელობას, მაგრამ აღნიშნული პირი იმყოფებოდა იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის პირობებში, მას არ გააჩნდა ნებელობა მცდელობის მიმართ, ამიტომ მისი პასუხისგებაში მიცემა მკვლელობის მცდელობისთვის დაუშვებელია.“⁷²

„ქმედება ფართო ცნებაა, რომელიც გვხვდება, როგორც დანაშაულის მომზადებისას, ასევე მცდელობისას და დამთავრებული დანაშაულის ეტაპზეც, ამიტომ მცდელობის დასადგენად მხედველობაშია მისაღები ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლში, დანაშაულის მცდელობის ობიექტურ წინაპირობად, ქმედების განხორციელების უშუალო დაწყება მიიჩნია.“⁷³

„ქმედება, რომ დანაშაულის მცდელობად შეფასდეს, მნიშვნელოვანია პირველი და ბოლო აქტის დადგენა, რათა მცდელობა გავმიჯნოთ დანაშაულის მომზადებისგან, ან მეორე მხრივ დამთავრებული დანაშაულისგან.“⁷⁴

⁷¹ თ. გაბეშია, დანაშაულის მცდელობის დასჯადობის თავისებურებები ქართულ და გერმანულ კანონმდებლობაში, თბილისი. 2019წ. გვ. 46

⁷² ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 192თ.

⁷³ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 192

⁷⁴ თ. გაბეშია, დანაშაულის მცდელობის დასჯადობის თავისებურებები ქართულ და გერმანულ კანონმდებლობაში, თბილისი. 2019წ. გვ. 47

„მცდელობის ათვლის წერტილად, შესაძლოა აღებულ იქნას სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის განხროციელების დაწყების მომენტი, რომელიც უახლოვდება დანაშაულებრივ შედეგს, ზოგჯერ კიდევ აღწევს მას. ასეთი ქმედება თავის მხრივ უპირისპირდება ისეთ საქმიანობას, რომელიც მისგან დროში და სივრცეში დაშორებული და დანაშაულის ჩასადენად მხოლოდ პირობებს ქმნის. მაგ: სსკ-ის 177-ე მუხლი ითვალისწინებს ქურდობის შემადგენლობას, რომელშიც მოიაზრება სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. აღნიშნული ქმედება, ისევე როგორც ყველა სხვა შემადგენლობები, კოდექსში დამთავრებული დანაშაულის სახით არის მოცემული. ანუ თუ კოდექსში მოცემული ქმედების შემადგენლობა ობიექტურად სრულად არაა მოცემული, მაშინ დამთავრებული დანაშაულის არსებობა გამორიცხულია. ამიტომ დანაშაულის ქურდობის მცდელობის დადგენისთვის, ზოგჯერ აუცილებელია რამდენიმე აქტის გამოკვეთა, რომელსაც ადგილი აქვს გარკვეული მომენტიდან, ნივთის ფაქტობრივად დაუფლებამდე, დაუფლების მომენტში და დაუფლების შემდეგ. თუ მაგალითად დამნაშავემ გადაწყვიტა სხვისი ბინიდან ძვირფასეულობის მოპარვა, მან ამისთვის ჯერ უნდა შეაღწიოს ბინაში, შემდეგ დაეუფლოს ძვირფასეულობას და ამის შემდეგ დატოვოს ბინა. სწორედ ამიტომ ქმედება ბინაში შესვლის მომენტიდან, ნივთის საბოლოო დაუფლებამდე და ბინიდან გამოსვლამდე, უნდა ჩაითვალოს ქურდობის მცდელობად.“⁷⁵

ლ. ხარანაულის მიერ მოყვანილი მაგალითიდან, შეიძლება ვთქვათ, რომ პირის მიერ დაწყებული ქმედების ობიექტური შემადგენლობიდან, დანაშაულებრივი შედეგის დადგომამდე არსებული პერიოდი, უნდა ჩითვალოს დანაშაულის მცდელობად, რა დროსაც სამართლებრივ სიკეთეს ექმნება უშუალო საფრთხე, რომელიც მიმართულია მის დასაზიანებლად. დანაშაულის მცდელობის დროს ქმედება სუბიექტური ნიშნებით ბოლომდეა მოცემული, ხოლო ობიექტური კუთხით ახასიათებს ნაკლოვანება, რომელიც წარმოადგენს შედეგის მიუღწევლობის წინაპირობას.

დანაშაულის მცდელობის ობიექტური მხარის განხილვისას, ყურადსადეგია ისეთი ფაქტი, რომლის დროსაც შესაძლებელია უკვე დასრულებული დანაშაული, რომელიც თავის თავში გულისხმობს შედეგის დადგომას, გადაკვალიფიცირდეს, როგორც დანაშაულის მცდელობად და ამას ქართულ სისხლის სამართალში „დანაშაულის ობიექტური შერაცხვის პრობლემა“ ჰქვია, რა დროსაც ხდება ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტა. აღნიშნული მოვლენა გვხვდება მაშინ,

⁷⁵ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 193

როდესაც არსებობს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, მაგრამ ვერ დგინდება ის კონკრეტული ინდივიდი, რომელმაც უშუალოდ განახორციელა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა, რომელსაც მოყვა შედეგი. მაგალითისთვის შეგვიძლია ავიღოთ, ბოლო დროის ყველაზე გახმარებული ხორავას ქუჩის მკვლელობა, სადაც პირთა ჯგუფმა, ფიზიკური დაპირისპირების პირობებში, ცივი იარაღით მიაყენა ჭრილობა დ.ს.-ს, რომელიც ადგილზე დაიღუპა. გამოძიების შედეგად დადგინდა იმ პირთა წრე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაში - კონკრეტულად კი დ.ს.-ს ცემაში, მაგრამ გამოძიება ვერ ადგენდა, თუ რომელი მათგანის უშუალო მოქმედებით დადგა ლეტალური შედეგი - ანუ სახეზე იყო ობიექტური შერაცხვის პრობლემა. პირველი ინსტანციის სასამართლომ, აღნიშნულ საქმეზე გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი იმ პირთა მიმართ, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ დ.ს.-ს ცემაში, მაგრამ სასამართლომ იხელმძღვანელა ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპით და არასრულწლოვნებს არა მკვლელობისთვის აგებინა პასუხი, არამედ მოხდა საქმის გადაკვალიფიცირება და თითოეული დამნაშავის პასუხისმგებლობა დადგა განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის.

2.4.1 დანაშაულის მცდელობის დასჯადობა

თითოეული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედება, რომელსაც სჩადის პირი და მიმართულია სახელმწიფოს მიერ, კონკრეტულად კი სისხლის სამართლის კოდექსით დაცულ სამართლებრივი სიკეთის დასაზიანებლად, თან სდევს საჩქცია, რომელიც სასჯელის სახედ გვევლინება, ანუ დანაშაულის თანმდევ შედეგს წარმოადგენს სასჯელი. ბუნებაში არსებობს ისეთი ქმედებები, რომლებიც შესაძლოა შეიცავდეს მართლწინააღმდეგობის ნიშნებს, მაგრამ კანონმდებელი ამ კონკრეტულ შემთხვევებს არ სჯის და აყალიბებს სასჯელისგან განთავისუფლების შემთხვევებს, ანდაც ახდენს სასჯელის შემსუბუქებას, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში დანაშაულს, ჩვენს შემთხვევაში კი დანაშაულის მცდელობას თან სდევს დასჯადობა, რაც მისი ობიექტური ნიშანია.

დაუმთავრებელი დანაშაულისთვის, კონკრეტულად კი დანაშაულის მცდელობისთვის, სასჯელის დანიშვნის შესახებ საუბარია „სსკ-ის 56-ე მუხლში, რომლის თანახმადაც მცდელობის დროს, სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღება გარემოებანი, რომელთა გამოც დანაშაული არ მივიდა ბოლომდე. ამავე მუხლის მიხედვით დაუშვებელია პირს, რომელიც პასუხისმგებლობაშია მიცემული

დანაშაულის მცდელობისთვის, შეეფარდოს უვადო თავისუფლების აღკვეთა. „საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, მცდელობის დროს არ ითვალისწინებდა სასჯელის სავალდებულო შემცირებას, თუმცა ეს წესი 2000 წლის სისხლის სამართლის კოდექსიდან შეიცვალა და დამკვიდრდა სასჯელის სავალდებულო შემცირების პრინციპი, რაც თავის თავში გულისხმობს იმას, რომ სასჯელის ზომა არ უნდა იყოს დამთავრებული დანაშაულისთვის სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით, ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის სამ მეოთხედზე მეტი.“⁷⁶

2006 წელს განხორციელებული ცვლილებებით, სავალდებულო წესი სასჯელის შემცირების თაობაზე, ამოღებული იქნა კოდექსიდან და სწორედ მას შემდეგ ჩნდება სსკ-ის 56-ე მუხლის ჩანაწერი, რომელიც სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არა სავალდებულო წესს, არამედ იმ გარემოებებს იღებს, რომელთა გამოც ვერ იქნა დანაშაული ბოლომდე მიყვანილი. „აღნიშნული გარემოებები შეიძლება დაიყოს სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებებად. სუბიექტურ გარემოებას შეიძლება მივაკუთვნოთ დამნაშავის ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, გამოუცდელობა და სხვა ნებისმიერი სუბიექტური ფაქტორი. რაც შეეხება ობიექტურ გარემოებას, მასში შეიძლება მოვიანოთ, ობიექტური ნიშნები, მაგალითად ცუდი ხილვადობა, დანაშაულის ჩასადენად შერჩეული საშუალების გაუმართაობა და სხვა მრავალი.“⁷⁷ სწორედ სუბიექტური და ობიექტური გარემოებების ჯაჭვი იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგინდეს ის ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუშალა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბოლომდე მიყვანას და დანაშაულებრივი შედეგის დადგომას, რომელსაც მხედველობაში იღებს მოსამართლე, სასჯელის დანიშვნის მომენტში. ამ ყველაფერთან ერთად, თ. წერეთელი „ყურადღებას ამახვილებს საფრთხის ოდენობაზე, რომელიც განსაზღვრავს მოსალოდნელი ზიანის ოდენობას.“⁷⁸

თ. წერეთლის მიერ, მაგალითად მოყვანილ ამ გარემოებებზე მიუთითებს ასევე სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მე-7 მუხლის, მე-2 ნაწილის თანახმად, „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს

⁷⁶ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 195

⁷⁷ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 196

⁷⁸ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი“. თბილისი. 2007წ. გვ. 196

გახდის მისი ჩამდენის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.⁷⁹

დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საკითხს ასევე არეგულირებს სსკ-ის მე-20 მუხლი, რომლის მიხედვითაც „პირს არ დაეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც დანაშაულის ჩასადენად, მისი პიროვნული ნაკლის ან უმეცრების გამო, იყენებს ისეთ საშუალებას, რომელსაც არ შეეძლო მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა,⁸⁰

სსკ-ის 21-ე მუხლი გვაძლევს მითითებას იმის შესახებ, რომ „მცდელობის სტადიაზე, თუ პირმა ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე, მაშინ მის მიმართ არ იქნება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ღონისძიებები გამოყენებული,⁸¹ რაც დამნაშავეს აძლევს სტიმულს, რათა დანაშაულის ჩადენის ნებისმიერ სტადიაზე, გარდა დამდგარი შედეგისა, აიღოს ხელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, რითიც იგი იტოვებს შანსს განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, რაც თავისთავად საკმაოდ ჰუმანური და ლიბერალური მიდგომაა.

სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი არეგულირებს, როგორც ამსრულებლის, ისე თანამონწილის საკითხს, დანაშაულის მცდელობის დასჯადობასთან დაკავშირებით. აღნიშნული მუხლის შინაარსი გვეუბნება, რომ „თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია, თანამონაწილეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისთვის.“⁸²

დანაშაულის მცდელობის დასჯადობის დროს, სასჯელის შეფარდებისას, დიდ როლს თამაშობს დანაშაულის მცდელობის სახეები (დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობა). თუ სუბიექტის ქმედება შეიცავს დაუმთავრებელ მცდელობას, მაშინ მოსალოდნელი სასჯელი შედარებით უფრო მსუბუქია, ვიდრე დამთავრებული მცდელობის დროს, რადგან საფრთხის და გარემოებების გათვალისწინებით, დაუმთავრებელი მცდელობის დროს, ხელყოფის ობიექტს ემუქრება უფრო ნაკლები საფრთხე ვიდრე დამთავრებული მცდელობის დროს. დაუმთავრებელი მცდელობისას დამნაშავეს მიერ გამოვლენილი ობიექტური შემადგენლობის ნიშნები საკმაოდ დაშორებულია შედეგის დადგომასთან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამართლებრივი სიკეთის დაზიების რისკები და საფრთხე

⁷⁹ სისხლის სამართლის კოდექსი

⁸⁰ იხ. იქვე

⁸¹ იხ. იქვე

⁸² იხ. იქვე

უფრო ნაკლებია. სწორედ ამიტომ, მოსამართლე, როდესაც ხელმძღვანელობს სსკ-ის 56-ე მუხლით, მან მხედველობაში უნდა მიიღოს მცდელობის სტადია და შეუფარდოს უფრო ნაკლები სასჯელი დამნაშავეს, როდესაც ხელყოფა შეწყდა დაუმთავრებელი მცდელობის დროს.

როდესაც დანაშაულის მცდელობის დასჯადობაზე გვაქვს საუბარია, არ შეიძლება არ მოვიშველიოთ საქართველოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც დაგვებმარება მცდელობის უკეთესად გაგებაში პრაქტიკული კუთით. ერთ-ერთ ასეთ საქმეს წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ეხება კვალიფიკაციის შეცვლას ქურდობის ფაქტზე.

სასამართლო პრაქტიკა

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საქმის ნომერი - N2კ-373აპ,-06,

თარიღი “ 2006 წლის 14 ნოემბერი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

ს.გ.-მ განიზრახა რა ქურდობის ჩადენა, სარკმლიდან ნიღბით უკანონოდ შეაღწია ბინაში, სადაც ეძინათ დაზარალებულებს. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით იგი ფარულად დაეუფლა რამოდენიმე ნივთს, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენდა 280 ლარს. დაუფლების დროს, ის შეამჩნია ოჯახის დიასახლისმა და იგი დაკავებული იქნა ოჯახის ერთ-ერთი წევრის მიერ.

მხარეთა პოზიციები

საკასაციო საჩივარში კასატორი ითხოვს ს.გ.-ს მიმართ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ მას აქვს მძიმე ოჯახური მდგომარეობა, კერძოდ, გაიზარდა მშობლების გარეშე, ახალგორის საბავშვო სახლში, ჰყავს ოჯახი და მცირეწლოვანი შვილი. დანაშაულის ჩადენის დროს იყო უმუშევარი და იმყოფებოდა ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში. კასატორი აღნიშნავს, რომ ს.გ.-მ დაზარალებულს აუნაზღაურა მიყენებული ზიანი და გულწრფელად ინანიებს თავის დანაშაულს.

პროკურორმა აღნიშნა, რომ კასატორი წარსულში ნასამართლევა ანალოგიური დანაშაულისთვის, ხოლო მის მიერ მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს მის მიმართ სასჯელის შემსუბუქებისთვის.

სასამართლო გადაწყვეტილება

დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი. თავდაპირველი კვალიფიკაცია, განსაზღვრული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, შეიცვალოს საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. მსჯავრდებულისთვის დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, შეუმცირდეს 1 წლითა და 6 თვით.

გადაწყვეტილების დასაბუთება

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება არ უნდა იყოს შეფასებული, როგორც დამთავრებული ქურდობა. საქმის მასალებით უტყუარად დგინდება, რომ მსჯავრდებული დაუყოვნებლივ იქნა დაკავებული დაზარალებულის მიერ, ჯერ კიდევ ბინაში მისი ყოფნისას. დაკავებულ ს.გ.-ს დაკავებისას უკვე ხელთ ჰქონდა დაზარალებულის კუთვნილი მოძრავი ნივთები, მაგრამ მას არ გააჩნდა მათი განკარგვის რეალური შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში დაუფლების ცნება არ შეიძლება განმარტებულ იქნეს მისი პირდაპირი ანუ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით. სხვისი მოძრავი ნივთისთვის ფიზიკური ხელის ხლება ან კიდევ რაიმე სათავსოში ჩადება, თუ ნივთისთვის ადგილსამყოფელის სხვაგვარად შეცვლა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის დაუფლებას. თუ ქურდი მოკლებულია საშულებას, თავისი შეხედულების ან ნების შესაბამისად, რეალურად განკარგოს ნივთი (გამოიყენოს ან სხვაგვარად მოეპყროს მას) მსგავს შემთხვევაში საქმე გვაქვს დანაშაულის მცდელობასთან და არა დამთავრებულ დანაშაულთან.⁸³

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საქმის ნომერი - N1/ზ-174-13

თარიღი: 2013 წელი 3 სექტემბერი

საქმის ფაქტობრივი გარემოებანი

უ.ხ.-ს ბრალად ედებოდა განზრახ მკვლელობა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში: 2012 წლის 1 აპრილს, სადამოს საათებში, უ.ხ. მივიდა თბილისში, კ.გ.-ს საცხოვრებელ სახლში, რადგან ამ უკანასკნელთან საერთო ბიზნესთან დაკავშირებით ჰქონდა უთანხმოება. მისვლისას უ.ხ.-მ, მასზე შენახვის უფლებით რეგისტრირებული იარაღიდან გასროლით, განზრახ მოკლა კ.გ და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

⁸³ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი N2კ-373აპ,-06
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

საქალაქო სასამართლოს ბრალდება, სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და დამნაშავედ იქნა ცნობილი სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულთა ჩადენაში.

მხარეთა პოზიცია

განაჩენი, როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ.თბილისის პროკურატურის პროკურორმა პ.ჭ.-მ და მოითხოვა, რომ უ.ხ ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, შემდეგი საფუძვლებით: სახეზეა დანაშაულის ობიექტური მხარის ყველა ნიშანი, კერძოდ, ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ უ.ხ.-მ კ.გ.-ს ესროლა ახლო მანძილიდან, ე.ი. ახლო მანძილიდან იარაღი მიმართა კ.გ.-ს გულმკერდისკენ და მოახდინა გასროლა, რაც ადასტურებს იმას, რომ უ.ხ.-ს განზრახვა მოიცავდა კ.გ.-ს მკვლელობას და არა დაზიანებას.

დაცვის მხარემ, თავის შესაგებელში, არ დაუჭირა მხარი სააპელაციო საჩივარს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის ძალაში დატოვება, შემდეგ გარემოებებზე მითითებით: სააპელაციო საჩივარი არის დაუსაბუთებელი და ვინაიდან საქმეში არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და დაუსაბუთებელი მტკიცებულებები, რომლებიც არ წარმოადგენენ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის მომცველ მტკიცებულებათა ერთობლიობას. გამოძიებას არ დაუდგენია რა მოხდა რეალურად, როგორ და რა ვითარებაში, რა მანძილიდან მოხდა გასროლა, რა დროის შუალედში მოხდა კ.გ.-ს დაღუპვა, რა დროის შემდეგ მოხდა სამედიცინო დახმარების გაწევა, რამდენ ხანს იყო მიტოვებული დაზარალებული სანამ საავადმყოფოში გადაიყვანდნენ, საავადმყოფოში მიყვანიდან რა დროის შემდეგ დაიწყო ოპერაცია, ვინ ჩაატარა იგი და იყო თუ არა ცოცხალი კ.გ საავადმყოფოში მიყვანის დროს.

სასამართლოს გადაწყვეტილება

სააპელაციო პალატამ განიხილა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე, შეამოწმა სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეაფასა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები, მიიჩნია რომ პროკურორის პ.ჭ.-ს სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ცვლილება უნდა შევიდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში, შემდეგი გარემოებების გამო: როდესაც ცეცხლსასროლი იარაღიდან დაჭრილი შეჰყავთ საავადმყოფოში, იქიდან აუცილებლად ხდება დაკავშირება სამართალდამცავ ორგანოებთან და მათი საქმის კურსში ჩაყენება, რისი გადამოწმებაც ბრალდების მხარის მიერ არ მომხდარა. გამოძიების არასრულყოფილებაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ არ დადგინდა, თუ სად

გარდაიცვალა კ.გ, საავადმყოფოდან არ არის ამოღებული ავადმყოფობის ისტორია, იმ ფაქტის დასადგენად, თუ რა ვითარებაში, რა მიზეზით და როდის დადგა კ.გ.-ს სიკვდილი. ბრალდების მხარის მიერ მხოლოდ ზეპირი აპელირება ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, რომ კ.გ დაიღუპა საავადმყოფოში მიყვანამდე საუბველს მოკლებულია. შესაბამისად ეჭვი იმისა, რომ კ.გ.-სთვის იარაღიდან მიყენებული დაზიანების მიყენების შემდეგ, რაიმე სხვა გარეშე ფაქტორებმა გამოიწვია ან თუნდაც დააჩქარა მისი სიკვდილი სრულიად ლეგიტიმურია.

საქართველოს სსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მტკიცებულებათა შეფასების დროს წრმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასაგებლოდ. შესაბამისად დამდგარი შედეგი უ.ხ.-ს ბრალად არ უნდა შეერაცხოს.

ამდენად პალატას მიაჩნია, რომ უ.ხ.-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლზე, რადგან გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობითაა დადასტურებული, რომ უ.ხ.-მ ჩაიდინა კ.გ.-ს განზრახ მკვლელობის მცდელობა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილი.⁸⁴

⁸⁴ თბილისი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი N1/ზ-174-13
<http://library.court.ge/judgements/73122013-10-18.pdf>

თავი 3. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

3.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ცნება და შინაარსი

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არსი მდგომარეობს იმაში, რომ პირმა, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ავტორმა, სავსებით და საბოლოოდ აიღო ხელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე და დანაშაულებრივი შედეგის დადგომაზე.

„დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ დაუმთავრებელი დანაშაულის, კონკრეტულად კი, დანაშაულის მომზადების და დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის სტადიაზე.“⁸⁵

„ამდენად, ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმების გამოყენება და პირის განთავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც დანაშაული არ დამთავრებულა, არც მატერიალურად და არც ფორმალურად.“⁸⁶ „ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, სასჯელისგან განთავისუფლების საფუძველი დამნაშავეს ნაკლები საშიშროებაა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ დამნაშავე დანაშაულს ნებაყოფლობით არ ამთავრებს, რის გამოც სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთე არ ზიანდება და შესაბამისად, პრევენციის საჭიროება აღარ არსებობს.“⁸⁷

„ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით განიხილება სამი თეორია: ოქროს ხიდის (კრიმინალ-პოლიტიკური), შეწყალების (წახალისების) და სასჯელის მიზნის თეორია. ქართულ სისხლის სამართალში არსებობს ფროებახის ოქროს ხიდის თეორია, რომლის თანახმადაც, დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფომ დამნაშავეს მიმართ არ უნდა გამოიყენოს დამსჯელი ღონისძიებები ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში.“⁸⁸ ოქროს ხიდის თეორიის პირობებში კანონმდებელი დამნაშავეს ჰპირდება დაუსჯელობას, თუ იგი ყველაფერს გააკეთებს სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად, მაგრამ თუ დანაშაული, რომელიც არ მიდის ბოლომდე და ხდება მასზე ნებაყოფლობით ხელის აღება, შეიცავს სხვა დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს, მაშინ პასუხისმგებლობა დგება ამ დამთავრებული დანაშაულისთვის. მაგალითისთვის: პირმა, სიცოცხლის მოსპობის მიზნით განახორციელა გასროლა მეორე პირის მიმართულებით, რომელიც დაიჭრა.

⁸⁵ მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, 2013წ, გვ. 316

⁸⁶ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 318

⁸⁷ იხ.იქვე, გვ. 318

⁸⁸ თ. ბაზაძე, დაუმთავრებელი დანაშაული, 2019წ, თბილისი, გვ. 39

დამნაშავეს შეეძლო დანაშაული ბოლომდე მიეყვანა და საკონტროლო გასროლით დამდგარიყო ლეტალური შედეგი, მაგრამ მასში გაიღვიძა სინანულის გრძნობამ და თავისი აქტიური მოქმედებით გადაიყვანა დაზარალებული საავადმყოფოში და თავისი აქტიური მოქმედებით შუნარჩუნა სიცოცხლე. დაზარალებული გადარჩა, მაგრამ მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. ამ შემთხვევაში დამნაშავე პასუხს აგებს არა მკვლელობის მცდელობისთვის, არამედ უკვე დამდგარი დანაშაულისთვის, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას. „რაც შეეხება სასჯელის მიზნის თეორიას, ამ თეორიის მიხედვით სასჯელის მიზანს უნდა ემთხვეოდეს ნებაყოფლობით ხელის აღება. აღნიშნული თეორია ითვალისწინებს იმას, რომ დასჯადობა კარგავს თავის მნიშვნელობას, რადგან ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში დანაშაულებრივი ნება სუსტდება.“⁸⁹ „ეს თეორია გამოდის იქიდან, რომ დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტისას დამნაშავე ლეგალურ პოზიციაზე ბრუნდება და მისი დანაშაულებრივი ნება ისეთი ძლიერი აღარ არის, როგორც ეს დანაშაულის განხორციელებისას იქნებოდა, ამიტომ დასჯადობა თავის მნიშვნელობას კარგავს, როგორც დამნაშავეს მხრიდან მომავალში დანაშაულის კვლავ ჩადენის თავიდან აცილების თვალსაზრისით, ასევე სხვების დაშინებისა და დარღვეული მართლწესრიგის აღდგენის თვალსაზრისითაც.“⁹⁰

„შეწყალების, იგივე წახალისების თეორია თავის თავში მოიცავს იმას, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, დამნაშავე უნდა წახალიდეს, იმის გამო რომ ვინაიდან ის თავისივე ნებით იხევს უკან და დანაშაულზე იღებს ხელს ნებაყოფლობით, კანონი აღარ ირღვევა და მისი ქცევა აღარ განიხილება, როგორც უკანონო და არამართლზომიერი ქმედება.“⁹¹ „აღნიშნული თეორია დაზარალებულის დაცვის ხაზს კი არ მიყვება, არამედ თავად დამნაშავეს პიროვნება დგას შეფასების ცენტრში.“⁹²

თითოეული ეს თეორია ემსახურება დამნაშავეთა წახალისებას, რათა მათ საკუთარი ნებიდან გამომდინარე შეძლონ დანაშაულზე ხელის აღება, გააცნობიერონ რისკები, გაიზარონ საკუთარი ქმედების უკანონობა და მიიღონ სტიმული, რომელიც დაეხმარება, როგორც თავად დამნაშავეს სასჯელისგან განთავისუფლებაში, ასევე დაზარალებულ პირს, ხელყოფისგან თავის დაცვაში.

„საქართველოს კანონმდებლობაში, ნორმა, რომელიც ეხებოდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, პირველად გამოჩნდა 1924 წელს, რა დროსაც საქართველოსთან ერთად, აღნიშნული ნორმა გაჩნდა თითქმის ყველა მოკავშირე

⁸⁹ თ. ბაზაძე, დაუმთავრებელი დანაშაული, 2019წ, თბილისი, გვ. 39

⁹⁰ ს. გაგაძე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, 2018წ. თბილისი, გვ. 10

⁹¹ თ. ბაზაძე, დაუმთავრებელი დანაშაული, 2019წ, თბილისი, გვ. 39

⁹² ს. გაგაძე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, 2018წ. თბილისი, გვ. 11

სახელმწიფოს სისხლის სამართალშიც. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილში ნათქვამი იყო: „უკეთუ დაწყებული დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი იმის გამო, რომ ამ დანაშაულის ჩამდენმა ხელი აიღო მის დამთავრებაზე, სასამართლო სოციალური დაცვის ღონისძიებას გადაუწყვეტს მხოლოდ იმ მოქმედებისთვის, რაც ფაქტიურად უკვე შესრულებულია.“⁹³ ამ მუხლის ჩანაწერიდან ირკვევა, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება არ უნდა იყოს ბოლომდე მიყვანილი, რაც გამოხატულია თავად დამნაშავის ნება-სურვილით. ჩანაწერის იმპერატივებიდან ვარკვევთ, რომ თუ კი დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავის ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მაშინ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე ლაპარაკი არ შეიძლება და ასეთი ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც დანაშაულის მომზადება ან მცდელობა, რომელიც დაისჯებოდა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხებს დღევანდელი სისხლის სამართლის კოდექსიდან არეგულირებს 21-ე მუხლი, რომლი თანახმადაც „პირს არ დაეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი.“⁹⁴

„ამ ნორმის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას, ისევე როგორც დაუმთავრებელი დანაშაულის დროს (მომზადება და მცდელობა), არ გვაქვს დანაშაულებრივი შედეგი, თუმცა, მათ შორის განსხვავება ისაა, რომ დანაშაულის განმახროციელებელი თავადვე სპობს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, რითაც მთლიანად ქრება განხორციელებული ქმედების სოციალური საშიშორება.“⁹⁵

„ზოგიერთი მეცნიერი გამოდის მცდელობისა და ნებაყოფლობით ხელის აღების ერთიანობის პრინციპიდან და ნებაყოფლობით ხელის აღებას განიხილავს, როგორც ქმედების შემადგენლობის გამომრიცხავ პერსონალურ საფუძველს. სისხლის სამართლის ზოგიერთი მეცნიერი კი ნებაყოფლობით ხელის აღების ადგილის საკითხს ბრალის სიბრტყეზე განიხილავს. თუ ნებაყოფლობით ხელის აღებით ბრალეულობა აღმოიფხვრება, მაშინ იგი ბრალის გამომრიცხავ გარემოებად შეფასდება, მაგრამ თუ ნებაყოფლობით ხელის აღება დასჯადობაზე იქონებს

⁹³ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ. 529

⁹⁴ სისხლის სამართლის კოდექსი

⁹⁵ ს. გაგაძე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, 2018წ. თბილისი, გვ. 13

გავლენას (ე.ი. როცა ქმედება არ არის დასჯის ღირსი), მაშინ იგი შეფასდება, როგორც ბრალის გამომრიცხავი საპატიებელი გარემოება.⁹⁶

როგორც ვხედავთ, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხავს სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ნებაყოფლობით ხელის აღება წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის, ანდაც ბრალის გამომრიცხველ გარემოებას, რამეთუ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები თავიდანვე არ წარმოადგენს დანაშაულს და სასარგებლოა მართლწესრიგისთვის, ხოლო ბრალის გამომრიცხავი გარემოებანი მოქმედების დაწყების მომენტიდან ითვლება არაბრალეულად. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს კი, სუბიექტის მიერ განხროციელებული პირვანდელი ქმედება, არის მართლსაწინააღმდეგოც და ბრალეულიც, მაგრამ განვითარების შემდეგ ეტაპებზე ქარწყლდება, როგორც ერთი, ისე მეორე.

როგორც უკვე ავღნიშვნთ ქმედება, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად შეფასდეს, აუცილებელია ორი კუმულაციური პირობა: ხელის აღება უნდა მოხდეს ნებაყოფლობით და საბოლოოდ. „ადამიანში ნებაყოფლობით მოქმედებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მის მიერ დასახული მიზნის მიღწევა მიმდინარეობს მისი სურვილის შესაბამისად. თუ მოქმედების გადაწყვეტილებას პირი გარეგანი ფაქტორების იძულების შედეგად იღებს, მაშინ თავისუფალი ქცევა გამორიცხებულია.“⁹⁷

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად ვერ ჩაითვლება ისეთი ფაქტი, რომლის დროსაც პირის საკუთარი ნების მიუხედავად არ ახორციელებს დანაშაულებრივი ქმედების სისრულეში მოყვანას და ეს არა მისი ნებელობითი ელემენტიდან, არამედ სხვა გარე ფაქტორების შედეგად ხდება. მაგალითად, თუ პირს სურს ქურდობა და შეიპარა სახლში, რა დროსაც გაიგო ფეხის ხმა, შეეშინდა და ხელი აიღო დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, არ შეიძლება დავაკვალიფიციროთ, როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, რადგან აქ არ გვაქვს მთავარი, ნებაყოფლობის ელემენტი, რამეთუ პირმა განზრახვის ბოლომდე მიყვანაზე ხელი არა საკუთარი სურვილისამებრ აიღო, არამედ გარეფაქტორებმა შეუშალა მას ხელი ქურდობის დამთავრებაში. ამასთან ერთად აუცილებელია მართლსაწინააღმდეგო ქმედების ავტორს ჰქონდეს ყველანაირი შესაძლებლობა, რათა დანაშაული მიიყვანოს ბოლომდე. ნებაყოფლობით ხელის აღებად ვერ შეფასდება ისეთი ქმედება, როდესაც პირს სურს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, მაგრამ შესაძლებლობებიდან გამომდინარე ვერ ახორციელებს დანაშაულებრივი შედეგის დადგომას. მაგ:

⁹⁶ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 320

⁹⁷ ს. გაგაძე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, 2018წ. თბილისი, გვ. 15

სუბიექტს სურს ვინმეს მოკვლა, რის მისაღწევადაც მოახდინა გასროლა იარაღიდან, მაგრამ მსხვერპლს ტყვია ააცილა. მას სურს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა და ახორციელებს კიდევ ერთ გასროლას, მაგრამ იარაღში ტყვიები გამოეღულია და მას აღარ აქვს უნარი იარაღით, ან რაიმე სხვა საშუალებით მიაღწიოს სასურველ შედეგს, რის გამოც ქმედება ვერ სრულდება და არ დგება შედეგი. ამ შემთხვევაშიც საქმე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან არ გვექნება, რამეთუ პირმა სავსებით და საბოლოოდ კი არ აიღო ხელი დანაშაულის სისრულეში მოყვანაზე, არამედ მას აღარ გააჩნდა არანაირი საშუალება და შესაძლებლობა დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად.

3.1 ნაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური და ობიექტური ნიშნები

როგორც სხვა დაუმთავრებელ დანაშაულებს, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასაც გააჩნია, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მხარე. ნებაყოფლობით ხელის აღების განხილვისას, სსკ-ის 21-ე მუხლში ფორმულირებული ტექსტიდან საკმაოდ კარგად ჩანს ის სუბიექტური მოთხოვნა, რომელიც მოქმედებს დამნაშავის მიმართ და ეს არის „ნებაყოფლობითობა.“

„ნებაყოფლობითობაზე საუბრის დროს, სასამართლო პრაქტიკასა და სისხლის სამართლის დოგმატიკაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ფსიქოლოგიურ და ნორმატიულ შეფასებებს, რომელზე მსჯელობის დროსაც, მეცნიერთა ნაწილი ფსიქოლოგიურ შეფასებას ანიჭებს უპირატესობას, ნაწილი კი თვლის, რომ ნორმატიული შეფასება ყოვლისმომცველი საშუალებაა. ფსიქოლოგიური შეფასების თანახმად, დანაშაულზე ხელის აღებას ნებაყოფლობითი ხასიათი გააჩნია მაშინ, როცა დამნაშავეს შინაგანად აღარ სურს დანაშაულის ჩადენა, ანუ დამნაშავე მოქმედებს ფსიქოლოგიური იძულების გარეშე, ხოლო რაც შეეხება ნორმატიულ შეფასებას, იგი ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივებს არამარტო ფსიქიკაზე, არამედ ასევე შეფასებაზე დაყრდნობით განიხილავს.“⁹⁸

„სუბიექტურ პირობას, ის სუბიექტური ელემენტები წარმოადგენენ, განზრახვის, მოტივისა და მიზნის სახით, რომელთა არსებობის გარეშე ვერ დასაბუთდებოდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.“⁹⁹

„ნებაყოფლობითია დანაშაულზე ხელის აღება მაშინ, როცა ხელს პირი იღებს საკუთარი გადაწყვეტილებით, ავტონომიურად და როდესაც ხელის აღების მიზეზი არ არის რაიმე ობიექტური შემაფერხებელი გარემოება. მაშინაც ნებაყოფლობითია დანაშაულზე ხელის აღება, როდესაც პირი სინამდვილეში ვერ შეძლებს დანაშაულის

⁹⁸ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 326

⁹⁹ თ. ბაზაძე, დაუმთავრებელი დანაშაული, 2019წ, თბილისი, გვ. 41

განხორციელებას, თუმცა ის დარწმუნებულია იმაში, რომ მის მიერ დაგეგმილი მიზნის მიღწევას ვერაფერი შეუშლის ხელს.¹⁰⁰

„დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხის გადაწყვეტისთვის, სისხლის სამართლის ლიტერატურაში ყურადღება ექცევა მოტივსა და მიზანს, რომლის საფუძველზეც დამნაშავე უარს ამბობს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე და რომლიც შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, მაგალითად: სიბრალული, კანონის შიში და სხვა მრავალი ფაქტორი, მაგრამ დანაშაულზე ხელის აღების დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, დამნაშავემ კეთილშობილური მოტივით აიღო ხელი დანაშაულზე, თუ სხვა მოტივით, რადგან მთავარი აუცილებელი წინაპირობა კვლავ ნებაყოფლობითობაა.“¹⁰¹ აქედან გამომდინარე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივებს მნიშვნელობა არ აქვს. დანაშაულზე ხელის აღება იქნება თითოეული მოქმედება, რომელიც ნებაყოფლობითობის ფარგლებში მოხდა და მოტივებს, იქნება ეს სიბრალული, კანონის და სასჯელის შიში, მსხვერპლის თხოვნა, ფინანსური სარგებელი, თუ სხვა რამ, კვალფიკაციის დროს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მაგ: პეტრემ სიცოცხლის მოსპობის მიზნით იარაღიდან ესროლა პავლეს, რომელიც დაიჭრა და დაეცა მიწაზე. პეტრეს აქვს შესაძლებლობა მოახდინოს მეორე გასროლა და სისრულეში მოიყვანოს თავისი განზრახვა, მაგრამ ამ დროს პავლე მას სთავაზობს ფულს, რათა გადაურჩეს სიკვდილს. პეტრე ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით ართმევს პავლეს ფულს და ხელს იღებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე - აქაც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გვექნება, რადგან შესაძლოა პავლემ იმოქმედა არაკეთილშობილური მოტივებით, მაგრამ მან სავსებით და საბოლოოდ აიღო ხელი მკვლელობის სისრულეში მოყვანაზე.

ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის ასეთი მიდგომა, შესაძლოა არ იყოს გამართლებული, რადგან სსკ-ის 21-ე მუხლი მთლიანად ემსახურება, როგორც დამნაშავეს წახალისებას ლეგალურ პოზიციაზე დაბრუნებისთვის, ამასთანავე საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებამდე, დამნაშავე წარმოადგენს საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებას, რომელსაც შეუძლია სამართლებრივი სიკეთის დაზიანება და ნორმალური თანაცხოვრების პირობების დარღვევა, მაგრამ ნებაყოფლობით ხელის აღების დროს, იგი უბრუნდება საწყის პოზიციას, რომელიც უმართლობის ელემენტებს არ შეიცავს და მოქცეულია ზნეობრივ და მორალური ფარგლებში, მაგრამ ეს ხდება მაშინ, როდესაც სუბიექტს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას აიძულებს მისი შინაგანი მორალი, იქნება ეს ღმერთის შიში, თუ მისი ზნეობრივი განწყობა. მთავარია, რომ დამნაშავე

¹⁰⁰ იხ. იქვე გვ. 41

¹⁰¹ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 328

კეთილშობილური განზრახვით იღებს ხელს დანაშაულზე, რა დროსაც შესაძლოა ჩაითვალოს, რომ იგი აღარ წარმოადგენს საშიშროებას საზოგადოებისთვის, მაგრამ საზოგადოებრივი უსაფრთხოების კუთხით, ის დამნაშავე, რომელიც დანაშაულზე ხელს იღებს არაკეთილშობილური განზრახვით, ვერ ჩაითვლება უსაფრთხო ადამიანად, რამეთუ მას არა ზნეობრივი, მორალური და თუნდაც რელიგიური მოტივები ამოძრავებს, არამედ ამოძრავებს არაკეთილსინდისიერი მოტივები და იმის დაზუსტებით ცოდნა, რომ ასეთი პიროვნება შემდეგში არ ჩაიდენს რაიმე დანაშაულს და დანაშაულის ჩადენის დროს მისი შემაფრთხილებელი ფაქტორი იქნება ზნეობა და მორალი, შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, ქმედების კვალიფიკაციის დროს, ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო ნებაყოფლობითობას, არამედ ნებაყოფლობითობის გამომწვევ მიზეზებსაც. თუ კი, სსკ-ის 21-ე მუხლი ემსახურება, როგორც დამნაშავესთვის მეორე შანსის მიცემას, ასევე საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, მაშინ ნებაყოფლობით ხელის აღების დროს, სუბიექტური კუთხით, ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ ნებელობით ელემენტს, არამედ იმ მოტივებს, რა მოტივების საფუძვლეზეც არ მიდის დანაშაული ბოლომდე. პიროვნება, რომელიც არაკეთილშობილური მიზნების გამო იღებს დანაშაულზე ხელს, ის ვერასოდეს იქნება სანდო და უსაფრთხო საზოგადოებისთვის და მისი პიროვნებიდან გამომდინარე, არც გაუჭირდება სხვა დანაშაულის ჩადენა.

„დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების კიდევ ერთ პირობას, ნებაყოფლობითობასთან ერთად, წარმოადგენს საბოლოოობა, რომელსაც ასევე ვხდებით საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლში. საბოლოოობა თავის თავში გულისხმობს იმას, რომ დამნაშავე დროებით კი არ გადაიფიქრებს დანაშაულის განხორციელებას, არამედ საერთოდ უარს იტყვის მის ჩადენაზე.“¹⁰² „დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტმა სავსებით და საბოლოოდ მიატოვა დანაშაულებრივი საქმიანობა და არა მაშინ, როცა პირმა დროებით შეწყვიტა მოქმედება, იმ მიზნით, რომ განაგრძოს იგი უფრო მოხერხებულ დროსა და პირობებში. მაგ: პირმა შეწყვიტა ქურდობა, რადგან მეორე დღეს დანაშაულის ადგილზე მიიტანოს იარაღები და ტექნიკა, რომლებიც გაუადვილებენ მას დანაშაულის ჩადენას, დანაშაულებრივი მოქმედების ასეთი დროებითი შეწყვეტა არ სპობს არც ქმედებას და არც პირის საზოგადოებრივ საშიშროებას.“¹⁰³

ნებაყოფლობით ხელის აღების დროს სუბიექტურ მხარის თვისებებთან ერთად აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ დამნაშავემ დანაშაული ობიექტურად ბოლომდე არ უნდა მიიყვანოს, ანუ სახეზე გვაქვს შემადგენლობის ობიექტური

¹⁰² მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“ 2013წ. გვ. 321-322

¹⁰³ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ. 538

მხარის ნიშნების გავლენა კვალიფიკაციაზე. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს, შესაძლოა დამნაშავემ სავსებით და საბოლოოდ აიღოს ხელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, მაგრამ არსებული პირობებიდან გამომდინარე მან ვერ შეძლოს შედეგის თავიდან აცილება. „თუ მიზეზობრიობის ტიპური განვითარებისას, სუბიექტმა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის თავიდან აცილება ვერ შეძლო, მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება დამთავრებული დანაშაულისთვის, მაშინაც კი, როდესაც ეს შედეგი შემთხვევითობის, მესამე პირთა ჩარევით ან დაუძლეველი ძალის გამო დადგა.“¹⁰⁴ მაგ: სიცოცხლის მოსპობის მიზნით, დამნაშავემ დაზარალებულს ესროლა იარაღიდან და მძიმედ დაჭრა, რის შემდეგაც მასში გაიღვიძა სინანულის გრძნობამ, გადაიფიქრა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა და დააპირა დაზარალებულის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა საკუთარი ავტომანქანით, რომელიც გზაში გაფუჭდა და ვერ მოხდა მომაკვდავი ადამიანის საავადმყოფოში მიყვანა დროულად, რის გამოც დადგა ლეტალური შედეგი. ამ შემთხვევაში შესაძლოა დამნაშავემ სავსებით და საბოლოოდ აიღო ხელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე სუბიექტურად, მაგრამ გარემოპირობებიდან გამომდინარე, რაც წარმოადგენს ობიექტურ მხარეს, მას შეეშალა ხელი დაზარალებულის გადასარჩენად, ამიტომ იგი პასუხს აგებს დამდგარი შედეგის მიხედვით.

„ობიექტური მხარე გულისხმობს იმას, რომ დამნაშავემ დანაშაული ობიექტურად არ უნდა მიიყვანოს ბოლომდე და ობიექტურად უნდა მოსპოს ქმედების ის ნიშანი, რომელიც მას დამთავრებულ დანაშაულად გადააქცევს, მან ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ შედეგის დადგომა აიცილოს თავიდან.“¹⁰⁵

„ობიექტური ნიშნებით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დამნაშავეს შეუძლია როგორც საკუთარი, ასევე სხვა ძალების დახმარებით, მაგრამ მთავარია, რომ მიზეზობრიობის განვითარებაში სხვისი ძალების ჩართვა დამნაშავის ნებას შეესაბამებოდეს.“¹⁰⁶

„ბუნებაში არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დამნაშავე ნებაყოფლობით იღებს ხელს დანაშაულის ჩადენაზე და ამ პროცესში იგი აზიანებს სხვის ქონებას, რომლის დაზიანების გარეშეც, შეუძლებელი იქნებოდა უფრო მეტი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა.“¹⁰⁷ მაგ: ა.-მ გადაწყვიტა შურისძიების ნიადაგზე აეფეთქებინა მისი

¹⁰⁴ ს. გაგაძე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, 2018წ. თბილისი, გვ. 23

¹⁰⁵ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 335

¹⁰⁶ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ. 40

¹⁰⁷ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 335

მეზობლის მანქანა, მაშინ როდესაც მეზობელი შიგნით იჯდებოდა და მოეკლა იგი, რის გამოც გაღებული მანქანის სალონში, მძღოლის სავარძლის ქვეშ, დააყენა დისტანციური დეტონატორი, რომელიც მანქანის დაქოქვისთანავე აფეთქდებოდა. ბოლო მომენტში ა.-ს შეებრა ლა მეზობელი, რის გამოც გადაწყვიტა დანაშაულზე ხელის აღება და შეეცადა დეტონატორის მანქანიდან ამოღებას, მაგრამ ავტომობილი დაკეტილი დახვდა, რის გამოც მოუწია შუშის ჩამტვრევა, მანქანის კარის გაღება და ასაფეთქებელი მოწყობილობის გაუნებელყოფა. ამ შემთხვევაში ა.-ს მხრიდან გვაქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, კონკრეტულად კი მისი მეზობლის მკვლელობაზე, მაგრამ მის ქმედებაში იკვეთება ასევე სხვა დანაშაულის ნიშნები, რომელიც მოცემულია სხვისი ქონების, კონკრეტულად კი ავტომობილის დაზიანებაში. სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „პირს, რომელმაც აიღო ხელის დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს.“¹⁰⁸ ა.-ს ქმედება სრულებით აკმაყოფილებს 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციას, მაგრამ „ამ შემთხვევაში უკანასკნელი ნორმა არ უნდა იქნას გამოყენებული შემდეგი ორი მიზეზის გამო: პირველი, ა.-ს მიერ ახალი უმართლობის დაფუძნება მოხდა არა ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, არამედ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ნებაყოფლობით ხელის აღების პროცესში და მეორე, ა.-ს მომდევნო ქმედება (მანქანის დაზიანება) ემსახურებოდა ნებაყოფლობით ხელის აღების მიზანს, კერძოდ, უფრო მძიმე შედეგის თავიდან აცილებას, ამიტომ ა.-ს პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს ე.წ. კვალიტატური უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ყოფნის გამო, საქართველოს სსკ-ის 38-ე მუხლის (ბრალეულად არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც თუმცა ამ კოდექსში სახელდობით არ არის მოხსენიებული, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს ამ ქმედების არაბრალეულობის პირობებს) საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ბრალის გამომრიცხავ გარემოებას.“¹⁰⁹

„ზოგჯერ არის ისეთი შემთხვევები, სადაც დამნაშავის მიერ მიზეზობრიობის ჯაჭვში სხვა ძალის ჩართვა დამნაშავის ნებას არ შეესაბამება. ეს ისეთი ვითარებაა, როდესაც დამნაშავე ნებაყოფლობით იღებს ხელს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, თუმცა სხვა ძალის მემვეობით შედეგი მაინც დგება. ასეთ დროს, დამნაშავე პასუხს აგებს დანაშაულის მცდელობისთვის. მაგალითად, ა.-მ განიზრახა ბ.-ს მოკვლა და საჭმელში ჩაუყარა საწამლავი. დაზარალებულის მიერ საჭმლის მიღების შემდეგ ა.-მ

¹⁰⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

¹⁰⁹ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 335-336

გადაიფიქრა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, იგი თავისი აქტიური მოქმედებით შეეცადა დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებას და მას ასევე ჰქონდა შედეგის აცილების რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ბ.-მ ისარგებლა შემთხვევით, უფლება არ მისცა ა.-ს მისი გადარჩენის და განხორციელა ჩაფიქრებული თვითმკვლელობა.“¹¹⁰ ამ შემთხვევაში ა.-ს სავსებით შეედლო დაზარალებულის გადარჩენა და ყველა იმ პირობის შესრულება, რომელიც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ახასიათებს, მაგრამ სხვა პირის მიერ, ამ შემთხვევაში თავად დაზარალებულის მიერ მოხდა მიზეზობრივ ჯაჭვში ჩართვა, რაც წინააღმდეგობაში მოვიდა დამნაშავის ნებელობით ელემენტთან და შედეგი დადგა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შედეგი და დამნაშავის ქმედება მიზეზობრივ კავშირში არ არის, მაშინ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება დამთავრებული დანაშაულისთვის დაუშვებელია.

საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი არეგულირებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, როგორც პასიური, ისე აქტიური მოქმედებებით. მოცემული მუხლის ნაწილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შესაძლოა დამნაშავემ ყველაფერი გააკეთა რათა დამდგარიყო დანაშაულებრივი შედეგი, მაგრამ დანაშაულის განვითარების რომელიმე ეტაპზე, მან ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილა მართლსაწინააღმდეგო შედეგი. ქმედებაში, კანონმდებელ მოაზრებული აქვს, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით ხელის აღების ფაქტები, რაც ნიშნავს იმას, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია, როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. „კანონმდებელი ნების გასაგებად აუცილებელია გავეცნოთ ნორმის ძველ რედაქციას, რომელიც მიღებული იყო 1999 წელს და სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი ნებაყოფლობით ხელის აღებად თვლიდა ისეთ შემთხვევას, სადაც დამნაშავემ მართალია, ყველაფერი გააკეთა შედეგის მისაღწევად, მაგრამ შემდეგ მოვლენათა მსვლელობაში ნებაყოფლობით აქტიურად ჩარევით თავიდან აიცილა ეს შედეგი.“¹¹¹ როგორც ვხედავთ, მოქმედ კანონმდებლობაში სიტყვები „აქტიურად ჩარევა“ ამოღებულია ნორმის ტექსტიდან და ვხვდებით მხოლოდ „ნებაყოფლობით ქმედებას“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კანონმდებელმა უარი თქვა ნებაყოფლობით ხელის აღების მხოლოდ მოქმედებით განხორციელებაზე და დაუშვა უმოქმედობის პირობებიც. მაგ: დამნაშავემ, რომელსაც სურს ბანკის საცავში შესვლა, ბანკთან მიიტანა ყველა საჭირო ხელსაწყო, რათა გაეყვანა გვირაბი და მალულად შეედწია საცავში, მაგრამ მან სავსებით და საბოლოოდ აიღო ხელი დანაშაულის სისრულეში მოყვანაზე და მეორე დღეს აღარ მივიდა

¹¹⁰ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 355-356

¹¹¹ იხ. იქვე. გვ. 333

ადგილზე დანაშაულის ჩასადენად. ამ შემთხვევაში სახეზე გვექნება ნებაყოფლობით ხელის აღება უმოქმედობით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დანაშაულის გარკვეულ კატეგორიებზე და ეტაპებზე, ნებაყოფლობით ხელის აღება უმოქმედობით შეუძლებელია, რადგან უმართლობის ელემენტის მოსპობა, მხოლოდ აქტიური ჩარევითაა შესაძლებელი. „მაგალითად, თუ პირმა ჩამოაყალიბა ჯგუფი დანაშაულის ჩასადენად და არსებობს საშიშროება იმისა, რომ ამ ჯგუფს დამოუკიდებლად შესწევს უნარი ჩაიდინოს დანაშაული, მაშინ ამ პირმა ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რათა ხელი შეუშალოს ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაშასადამე პირმა უნდა შეძლოს მიზეზობრივი ჯაჭვის გაწყვეტა.“¹¹²

3.3 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილეობის და ამსრულებლობის დროს

დანაშაულში თანამონაწილეობის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლია, როგორც ამსრულებელს, ასევე თანამონაწილეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუ კი ამსრულებელი სავსებით და საბოლოოდ აიღებს ხელს დანაშაულის ჩადენაზე, ავტომატურად თანამონაწილეს თავისუფლდება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. თითოეული მათგანის ქმედებათა ერთობლიობა უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად და გახდეს ინდივიდუალური გაკიცხვის საგანი. აქედან გამომდინარე დანაშაულის ამსრულებლის და თანამონაწილის საკითხი, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ჩარჩოში, უნდა გადაწყდეს ცალ-ცალკე ინდივიდუალური შერაცხვით. „როცა ამსრულებელი ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულზე, პირადად მისთვის იმ გარემოებას, რომ დანაშაულში მონაწილეობას იღებდნენ სხვა პირები, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. იგი საერთო საფუძველზე განთავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.“¹¹³

„არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ამსრულებელი ხელს იღებს მაკვალიფიცირებული გარემოების განხორციელებაზე, მაგრამ თანამონაწილეთა დანაშაულებრივი ქმედება სრულებით მოიცავს მაკვალიფიცირებელ გარემოებასაც. მაგალითად, ამსრულებელმა და მისმა დამხმარებელმა გადაწყვიტეს ორი ადამიანის მოკვლა, რის შემდეგაც ამსრულებელი განზრახ კლავს ერთ ადამიანს, მაგრამ მეორე პიროვნების მოკვლაზე ნებაყოფლობით იღებს ხელს. ასეთ შემთხვევაში ამსრულებელი დაისჯება სსკ-ის 108-ე მუხლით, რადგან მან 109-ე მუხლში

¹¹² ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 357

¹¹³ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი.“ თბილისი. 2007წ. გვ. 557

არსებული მაკვალიფიცრებელი გარემოების შესრულებაზე აიღო ნებაყოფლობით ხელი, ხოლო რაც შეეხება მის დამხარეებს, ისინი პასუხს აგებენ საქართველოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის, რამეთუ მათ მაკვალიფიცრებელი გარემოების დამახასიათებელ ქმედებაზე სავსებით და საბოლოოდ არ აუღიათ ხელი.“¹¹⁴

საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით „დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხარეს არ დაეკისრებათ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათ გადაარწმუნეს ამსრულებელი, შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს ან სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა. დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა შესრულებინა შეპირებული ქმედება ან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება.“¹¹⁵

„ამსრულებლის გადარწმუნება ნებაყოფლობით ხელის აღებად იმ შემთხვევაში განიხილება, როცა დამნაშავეს გადაწყვეტილი აქვს დანაშაულის ჩადენა, თანამონაწილეები კი შეძლებენ მის დაყოლიებას, რომ არ ჩადინოს დანაშაული და მათი მოქმედებით შეძლებენ დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელების თავიდან არიდებას. მაგალითად, ა.-მ წააქეზა ბ., რომ გაექურდა სახლი, ხოლო შემდეგ ა.-მ გადაიფიქრა და დაარწმუნა ამსრულებელი, რომ ხელი აეღო დანაშაულის ჩადენაზე. ასევე, როდესაც წამქეზებელს შეცდომით ჰგონია, რომ ამსრულებელი დაარწმუნა დანაშაულის ჩადენაში, ხოლო ამის შემდეგ შეეცადა მის გადარწმუნებას, სინამდვილეში კი ამსრულებელს თავიდანვე არ ჰქონდა განზრახული დანაშაულის ჩადენა.“¹¹⁶

„ზოგიერთი მეცნიერი აზრით ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ დანაშაულის მიზეზობრიობიდან უბრალო გამოთიშვა, არამედ თითოეული მონაწილე სერიოზულად უნდა გაისარჯოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული დანაშაულებრივი შედეგი.“¹¹⁷ თუ კი ჩვენ გამოთქმულ მოსაზრებას მივყვებით, მაშინ თანამონაწილეობის დროს, საბოლოოდ უნდა გამოირიცხოს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება უმოქმედობით, რამეთუ „სერიოზული

¹¹⁴ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. გვ. 342

¹¹⁵ სისხლის სამართლის კოდექსი

¹¹⁶ თ. ბაზაძე, დაუმთავრებელი დანაშაული, 2019წ, თბილისი, გვ. 45

¹¹⁷ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. 343

გარჯა“ მხოლოდ აქტიური მოქმედების ნიშნებით ხასიათდება, რაც გულისხმობს ნებაყოფლობით ხელის აღებას მხოლოდ მოქმედებით. დანაშაულის ჩადენის დროს, შესაძლებელია დანაშაული არ მივიდეს ბოლომდე მაშინაც, როდესაც თანამონაწილემ, ამ შემთხვევაში დამხმარემ, აიღოს ხელი დანაშაულის ჩადენაზე და შეწყვიტოს თანამშრომლობა დანაშაულებრივ ჯგუფთან. „იმ შემთხვევაში, როდესაც დამხმარეს იმდაგვარი მოქმედების შესრულება ეკისრებოდა, რომლის გარეშეც დანაშაულის ჩადენა შეუძლებელი იქნებოდა და დამხმარემ უარი განაცხადა ამ მოქმედების ჩადენაზე, მაშინ იგი ხელს იღებს დანაშაულის ჩადენაზე უმოქმედობით.“¹¹⁸ „მაგ: თანმიმდევრულად განხორციელებული მოწამვლით მკვლელობის დროს, რა დროსაც დამხმარემ მსხვერპლს ნაწილ-ნაწილ უნდა მიაწოდოს საწამლავი, უბრალოდ შეაჩერებს საწამლავის მიწოდებას და დანაშაულის დამთავრებას შეუძლებლად გადააქცევს.“¹¹⁹ ამ შემთხვევაში დამხმარე არა მოქმედებით, არამედ უმოქმედობით იღებს ხელს დანაშაულის ჩადენაზე და დანაშაული არ მიდის ბოლომდე. იგივე შემთხვევა გვექნება იმ დროს, როცა ამსრულებელი მოახდენს გასროლას ცეცხლსასროლი იარაღიდან, მაგრამ მსხვერპლს ააცილებს და დამხმარებს მოსთხოვს დამატებითი ტყვიების მოტანას, რაზეც დამხმარე უარს განაცხადებს, აიღებს ხელს დანაშაულის ჩადენაზე და არ მიაწვდის საჭირო საბრძოლო მასალას დამნაშავეს მსხვერპლის განეიტრალებისთვის, რა დროსაც ადგილზე გამოცხადდება პოლიცია და დააკავებს ამსრულებელს. ამ შემთხვევაშიც თანამონაწილე განთავისუფლდება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, რადგან მან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელი აიღო უმოქმედობით, ხოლო ამსრულებელი პასუხს აგებს განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის.

„თანამონაწილენი განთავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან მხოლოდ მაშინ, თუ მათ მიერ მიღებული ღონისძიებებით დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება თავიდან იქნა აცილებული, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მოქმედება, მიმართული დანაშაულებრივი შედეგის ასაცილებლად, შეიძლება გახდეს მხოლოდ საფუძველი სასჯელის შემსუბუქებისა.“¹²⁰ ეს ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილეთა მიერ განხორციელებულმა ქმედებამ, რომელიც მიმართულია დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებისკენ, უნდა გამოიღოს შედეგი, ანუ ობიექტური გარემოებით დანაშაულებრივი შედეგი არ უნდა დადგეს, რამეთუ თანამონაწილეთა მხოლოდ სუბიექტური განწყობა არაა საკმარისი ნებაყოფლობით ხელის აღების

¹¹⁸ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი“. თბილისი. 2007წ. გვ. 560

¹¹⁹ ს. გაგაძე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, 2018წ. თბილისი, გვ. 52

¹²⁰ თ.წერეთელი - „სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი“. გამომც. „მერიდიანი“. თბილისი. 2007წ. გვ. 561

კვალიფიკაციისთვის, თუ ამ სუბიექტურად და ობიექტურად განხორციელებულ ქმედებებს არ მოყვება შედეგი ობიექტურად. „როდესაც წამქეზებელი და თანამონაწილე შეეცდებიან დამნაშავეს ხელი შეუშალონ დანაშაულის განხორციელებაზე და ნებაყოფლობით ააღებინონ ხელი, მაგრამ მათი ცდა უშედეგო, ანდაც არასაკმარისი იქნება, რომ დანაშაული არ განხორციელდეს და როდესაც დამნაშავე ნაწილობრივ მოასწრებს დანაშაულის რომელიმე ელემენტის განხორციელებას, მაგალითად მკვლელობის განზრახვა ჰქონდა და თანამონაწილეების ძალისხმევის შედეგად ბოლომდე ვერ მიიყვანა დანაშაული და მისი ქმედების გამო ადამიანს მხოლოდ ჯანმრთელობა დაუზიანდა, ამ მაგალითის მიხედვით ნებისმიერ ამ საქმეში გარეული პირი უნდა დაისაჯოს ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებაში თანამონაწილეობისთვის.“¹²¹

3.4 ნებაყოფლობით ხელის აღება და დანაშაულის პროვოკაცია

საქართველოს სსკ-ის 145-ე მუხლის თანახმად, „დანაშაულის პროვოკაცია გულისხმობს სხვის დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისამართლებრივი პასუხისგებაში მიცემის მიზნით.“¹²²

დანაშაულის პროვოკაციის განმახორციელებელი სუბიექტი ერთი შეხედვით ჰგავს წამქეზებელს, რომელიც აქეზებს კონკრეტულ პირს, რათა ჩაიდინოს დანაშაულის. „დანაშაულის პროვოკაციის დროს გამოიყენება ე.წ. „ფიქციის მეთოდი“, რა დროსაც პროვოკატორი ფაქტობრივად წამქეზებელია, თუმცა იურიდიულად ის პროვოკაციის ამსრულებელია.“¹²³ სისხლის სამართალში დანაშაულის პროვოკაციის განმახორციელებელ სუბიექტს, აგენტ-პროვოკატორადაც მოიხსენიებენ. „ადრეულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში დანაშაულის პროვოკაციას, დანაშაულში წამქეზებლად აკვალიფიცირებდნენ და ამდენად პროვოკაციის საკითხი თანამონაწილეობის წესების მიხედვით წყდებოდა.“¹²⁴

„თანამედროვე ქართულმა სისხლის სამართალმა მოახდინა პროვოკაციის და თანამონაწილეობის ურთიერთგამიჯვნა და თითოეული მათგანი შესაბამის მუხლებში გაითვალისწინა. სისხლის სამართლის დოგმატიკა წამქეზებლისგან, პროვოკატორის გამიჯვნის დროს ამოდის თანამონაწილეობის აქსცესორული ბუნებიდან და ამბობს, რომ არ შეიძლება აგენტ-პროვოკატორი თანამონაწილედ

¹²¹ თ. ბაზაძე, დაუმთავრებელი დანაშაული, 2019წ, თბილისი, გვ. 45-46

¹²² სისხლის სამართლის კოდექსი

¹²³ სამართლის ჟურნალი N2. გ. ნაჭყებია, „დანაშაულში თანამონაწილეთა თანაბრალეულობის დასაბუთების მეტოდოლოგიური პრობლემა“. გამომც. უნივერსიტეტის გამომცემლობა (თსუ), 2013წ, გვ 177-178.

¹²⁴ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. 366

ჩაითვალოს, ვინაიდან მათ განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ და შესაბამისად, ისინი სხვადასხვა უმართლობას ახორციელებენ.¹²⁵

წამქეზებლისგან განსხვავებით, აგენტ პროვოკატორს არ სურს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა.¹²⁶ თუ კი აგენტ-პროვოკატორი დანაშაულებრივი შედეგის მიმართ არ არის გულგრილი და ამ შედეგს ეგუება, მაშინ საქმე არა დანაშაულის პროვოკაციასთან, არამედ დანაშაულის წამქეზებელთან გვექნება, რამეთუ აღნიშნული ქმედების შინაარსი სრულად აკმაყოფილებს დანაშაულის წამქეზებლის დანაშაულებრივ ბუნებას, როცა აგენტ-პროვოკატორის მიზანი მიმართულია არა კონკრეტული დანაშაულებრივი შედეგის დადგომისკენ, არამედ იმ კონკრეტული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისკენ, რომელსაც დანაშაულის ჩადენის სურვილს აღუძრავს. „კანონი არ განსაზღვრავს აგენტ-პროვოკატორის მიერ სუბიექტის დაყოლიების ფორმებს და იგი შესაძლოა სხვადასხვა ფორმებით განხორციელდეს. „დაყოლიებისთვის საჭიროა ფსიქიკური კონტაქტის არსებობა, რომელიც ადამიანში ქმედების განხორციელების სტიმულს აღძრავს. დაყოლიება ხორციელდება პროვოკატორსა და ამსრულებელს შორის, რაც მოითხოვს მათ შორის აქტიურ ინტელექტუალურ კომუნიკაციას.“¹²⁷

ქართულ სისხლის სამართალში არის პრობლემური საკითხი, რომელიც დანაშაულის პროვოკატორის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ემსახურება. „დანაშაულის პროვოკაცია დამთავრებულად ჩაითვლება მაშინ, როდესაც დაყოლიებული პირი დაიწყებს დანაშაულის მომზადებას ან მცდელობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, უფრო ადრინდელ სტადიაზე პროვოკატორის მიცემა სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობაში არ იქნება გამართლებული, რადგან პროვოკატორმა ჯერ ვერ ხელყო დაყოლიებულის ინტერესი.“¹²⁸

ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის მიხედვით, პროვოკატორის დასჯა შესაძლებელია იმ მომენტიდან, რა მომენტიდანაც დაყოლიებული დაიწყებს დანაშაულის მომზადებასა და მცდელობას, მაგრამ ამ ჩანაწერით პროვოკატორის ნებაყოფლობითობა დანაშაულზე ხელის აღებასთან დაკავშირებით ძალიან ვიწროვდება, ამიტომ საჭიროა ისეთი ნორმის შემოღება, რომელიც პროვოკატორს ნებაყოფლობით ხელის აღების საშუალებას მისცემს, დაყოლიებულის მიერ, როგორც მომზადების, ისე მცდელობის დროს, რადგან პროვოკატორს პირველ და მეორეს

¹²⁵ იხ.იქვე გვ. 366

¹²⁶ ნ.თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი ტომი 1. გამომც. „მერიდიანი“. 2011წ. გვ.261

¹²⁷ კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში, ი.დვალაძე, გ.თუმანიშვილი, ნ.გვენეტაძე, თბილისი, 2015წ. გვ 233

¹²⁸ ლ. ხარანაული, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბილისი, 2013 წ. 367

სტადიაზე შეუძლია ხელი შეუშალოს დამნაშავეს დანაშაულებრივი შედეგის ბოლომდე მიყვანაში. შესაძლოა თავად პროვოკაცია დამთავრებულად ითვლება დანაშაულის ჩადენის სურვილის აღძვრის მომენტიდან, მაგრამ ამ უმართლობის სტადიაზე, იკვეთება მხოლოდ დაყოლიებულის განზრახვა, რაც არ ქმნის სამართლებრივი სიკეთის დაზიანების რისკებს. რაც შეეხება მომზადებას და მცდელობას, ამ შემთხვევაშიც უნდა მიეცეს პროვოკატორს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა, რადგან მას აქვს უნარი გადაარწმუნოს და ხელი შეუშალოს დაყოლიებულს, რათა არ დადგეს დანაშაულებრივი შედეგი, რაც თავისთავად არ წარმოადგენს უმართლობის ელემენტს.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საქმის ნომერი 2კ-1284აპ

თარიღი: 2009 წლის 4 მარტი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

2007 წლის 6 სექტემბერს მ.პ.; მ.მ.; რ.ო და რ.ხ წინასწარი შეთანხმებით შეიარაღდნენ და ბორჯომის რაიონის სოფელ ტ.-ში არსებული ტყის პირას, კარავში დაბანაკებული ისრაელის მოქალაქეების დაყაჩაღება მოახდინეს. აღნიშნულმა პირებმა, ისრაელის მოქალაქეების, რომლებსაც ძირითადად სტუდენტები წარმოადგენდნენ, კუთვნილი თანხის 340 ლარის მისაკუთრება მოახდინეს და თანხის დაუფლებისთანავე გაიქცნენ. ყაჩაღური თავდასხმის დასრულებიდან 5 წუთის შემდეგ მ.პ და მ.მ ერთ-ერთი ისრაელის მოქალაქე გოგონას, ნ.პ.-ს გასაუპატიურებლად დაბრუნდნენ შემთხვევის ადგილზე, იარაღის მუქარით ტყის სიღრმეში შეიყვანეს, დააწვინეს მიწაზე და შეეცადნენ მის გაუპატიურებას. ნ.პ.-მ დამნაშავეებს გაუწია წინააღმდეგობა, ატეხა ყვირილი, რის შემდეგაც მ.პ და მ.მ მიატოვეს შემთხვევის ადგილი და მიიმალნენ. როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლომ პირთა ჯგუფის ქმედება დააკვალიფიცირა ყაჩაღობად, ხოლო მ.პ.-სა და მ.მ.-ს ქმედება ყაჩაღობასთან ერთად დააკვალიფიცირა, როგორც გაუპატიურების მცდელობა. აღნიშნული გადაწყვეტილება დაცვის მხარის შუამდგომლობით გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში.

მხარეთა პოზიცია

მ.მ.-ის და მ.პ.-ის ინტერესების დამცველი საკასაჩიო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას და მ.მ.-ის და მ.პ.-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას გაუპატიურების მცდელობის მსჯავრდების ნაწილში. კასატორის მოსაზრებით, მოსამართლემ სასამართლოს განაჩენში მტკიცებულებად გამოიყენა წინასწარ გამოძიებაში მიცემული დაზარალებულების ჩვენები, რომელთა გამოკვლევაში ბრალდებულის მხარეს მონაწილეობა არ მიუღია. დაცვის მხარის აზრით, თუ მსჯავრდებულებს ჰქონდათ ნ.პ.-ს გაუპატიურების განზრახვა, მაშინ მისი ტყეში ყვირილის გამო, სადაც მათ გარდა არავინ არ იმყოფებოდა, ისინი არ აიღებდნენ გაუპატიურების მცდელობის განზრახვაზე ხელს, თუ მათ ეს სურდათ.

რაც შეეხება ბრალდების მხარეს, ისინი ამტკიცებენ, რომ აღნიშნულ საქმეზე დამნაშავეებს ნებაყოფლობით არ აუღიათ ხელი, რამეთუ დაზარალებულის მიერ გაწეულმა წინააღმდეგობამ შექმნა ისეთი ობიექტური გარემოება, რომლის არსებობის გამოც ვერ შეძლეს დამნაშავეებმა დაზარალებულის გაუპატიურება და მათი ქმედება არა საკუთარი ნებელობიდან, არამედ თავად დაზარალებულის მიერ შექმნილი წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს. (რაც საქალაქო და სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა)

სასამართლოს გადაწყვეტილება

საკასაციო პალატამ შეისაწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივარის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ.პ.-ის და მ.მ.-ის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგი გარემოებების გამო: ორივე მსჯავრდებულის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები უტყუარად ადასტურებს მათ დანაშაულებრივ ქმედებას ყაჩაღობის ნაწილში. ორივე მათგანი დაისჯება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, რაც შეეხება გაუპატიურების ნაწილს, მ.პ და მ.მ უნდა განთავისუფლდეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სსკ-ის 21-ე მუხლის საფუძველზე.

სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება

სასამართლო საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებისას ამბობს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი ყაჩაღობა, გამოკვლეულია უამრავი რელევანტური მტკიცებულება, დაიკითხა არაერთი მოწმე, მათ შორის თავად მსჯავრდებულები და ისინი თავადაც აღიარებენ ჩადენილ ქმედებას. რაც შეეხება გაუპატიურების ნაწილს, სასამართლო მ.მ.-ს და მ.პ.-ს ანთავისუფლებს გაუპატიურების მცდელობისთვის, რადგან მიიჩნევს, რომ დამნაშავეებმა სავსებით და საბოლოოდ აიღეს ხელი დანაშაულის ჩადენაზე. სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარება თავად დაზარალებულის ჩვენებას, რომელიც ყველა, თუ როგორ დააწვინა მ.მ.-მ იგი მიწაზე და შეეცადა შარვლის გახდას, მაგრამ შემდეგ უეცრად გადაიფიქრა მისი გაუპატიურება და დატოვა შემთხვევის ადგილი. ამ მოქმედებების დროს დაზარალებულს მ.მ.-ისთვის არ გაუწევია არანაირი წინააღმდეგობა, რაც შეუძლებელს გახდიდა დანაშაულებრივი შედეგის ბოლომდე მიყვანას, რადგან მას ძალიან შეეშინდა. სწორედ ამიტომ სასამართლო თვლის, რომ მ.მ.-ს შეეძლო დანაშაული მიეყვანა ბოლომდე, რისთვისაც მას ყველანაირი გარემოპირობა ჰქონდა შექმნილი, მაგრამ მან გადაიფიქრა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა და ხელი აიღო მასზე, სწორედ ამიტომ იგი უნდა განთავისუფლდეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. რაც შეეხება მ.პ.-ს, სასამართლომ

ჩათვალა, რომ ისიც უნდა განთავისუფლდეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. მ.მ.-ის ქმედების შემდეგ დაზარალებულ ნ.პ.-სთან, სწორედ მ.პ მივიდა და მანაც განიზრახა მისი გაუპატიურება, გაუხსნა შარვალი და შეეცადა მასთან სექსუალური კავირის დამყარებას, რა დროსაც დაზარალებულმა შიშისგან დაიწყო ყვირილი და დამნაშავეს გაუწია წინააღმდეგობა, რის შედეგადაც მ.პ.-მ ვერ შეძლო სექსუალური კავშირის დამყარება და დატოვა დანაშაულის ადგილი. სასამართლო, მ.პ.-ის ქმედებაც აღიარა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად, რადგან მიიჩნევს, რომ მ.პ.-მ სავსებით და საბოლოოდ აიღო ხელი დანაშაულზე ნებაყოფლობით, რადგან საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ნ.პ.-ის მიერ მხრიდან გაწეული ფიზიკური წინააღმდეგობა და ყვირილი არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ობიექტურ ხელის შემშლელ გარემოებებად, რომელთა არსებობის შემთხვევაში მსჯავრდებულები თავიანთ განზრახვას სისრულეში ვერ მოიყვანდნენ.

129

უზენაესი სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ

საქმის ნომერი 174აპ-18

თარიღი: 2018 წლის 23 ივლისი

საქმის ფაქტობრივი გარემოებანი

2016 წლის ივნისის ბოლოს ტ.გ.-მ განიზრახა საკუთარი ნათესავის მ.მ.-ს ბინის გაქურდვა და 30000 აშშ დოლარის ფარულად დაუფლება, რომელსაც მისი რწმენით, მისი ნათესავი საძინებელ ოთახში მალავდა. ფულადი თანხის დაუფლების მიზნით ტ.გ.-მ შეიმუშავა გეგმა, სადაც თავისი მეგობრები ლ.კ და ი.ლ, რომელთაც მოტყუებით უნდა შეეღწიათ ბინაში და ფარულად დაესაკუთრებინად არსებული თანხა, რომელსაც სამივე მათგანი თანაბრად გაიყოფდა. თავად ტ.გ ბინაში ვერ შევიდოდა, რადგან მას მისი ნათესავი მ.მ იცნობდა, ამიტომ მანვე გადაუნაწილა როლები საკუთარ მეგობრებს და დაარიგა თუ როგორ უნდა შესულიყვნენ ბინაში და მოეპარათ ფული. შეთანხმებისამებრ, ლ.კ და ი.ლ 2016 წლის 13 ივლისს, დღის საათებში, თითქოს ბუნებრივი აირის მიმწოდებელი კომპანიის თანამშრომლები,

¹²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი 2კ-1284აპ <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

შევიდნენ მ.მ.-ის ბინაში 30000 აშშ დოლარის მისაკუთრების მიზნით, მაგრამ მ.მ.-მ ისინი უმეტესადაა ურთოდ არ დატოვა, რის გამოც ჯგუფის წევრებს საძინებელ ოთახში შეღწევის საშუალება არ მიეცათ. ამის შემდეგ, ლ.კ.-მ სახლის მეპატრონე მ.მ.-ს ააფარა პირზე ხელი, რა დროსაც ი.ლ. გავიდა ბინიდან და ლ.კ.-ს დაელოდა გარეთ, თავიანთ მანქანასთან. ქურდობის დაფარვის და მისი გაადვილების მიზნით, ლ.კ.-მ თავზე ჩამოაცვა პარკები მ.მ.-ს და გაგუდა. ამის შემდეგ, მან ბინიდან მისაკუთრა 210 ლარი, ძვირფასი სამკაულები, რომელთა ღირებულება შეადგენდა 735 ლარს და ვიდეოკამერა, ხოლო 30000 აშშ დოლარი მან ვერ იპოვა, რითიც სისრულეში ვერ მოიყვანა საკუთარი, ი.ლ.-სა და ტ.გ.-ს განზრახვა, რომელიც მიზნად ისახავდა ფარულად დაუფლებოდნენ დიდი ოდენობით ფულად თხნას.

საქალაქო სასამართლოს მიერ ტ.გ. იქნა ცნობილი დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25,19,177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.

მხარეთა პოზიცია

აღნიშნული განაჩენი სააკელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ, რომელიც ითხოვდა განაჩენის გაუქმებას და ტ.გ.-ს უდანაშაულოდ ცნობას წარდგენილ ბრალდებაში ან საქართველოს სსკ-ის 19,25,177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდებიდან მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის (ორგანიზებული ჯგუფის) ამორიცხვას. დაცვის მხარემ მიუთითა ტ.გ.-ს მიერ, წარუმატებელი მცდელობის გამო, დანაშაულზე ნებაცოფლობით ხელის აღებაზე. ტ.გ.-სთვის ასევე არ იყო ცნობილი, რომ ლ.კ. და ი.ლ. ჩაიდენდნენ დანაშაულს, რადგან ი.ლ. არ დათანხმდა შეთავაზებას დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობაზე.

სააკელაციო პალატის გადაწყვეტილება

სააკელაციო პალატამ დაცვის მხარის არგუმენტები არ გაიზიარა და მიუთითა საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის 1 ნაწილზე, რომლის თანახმადაც, პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაცოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებლსა და დამხმარეს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა, თუ მათ გადაარწმუნეს ამსრულებელი, დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს ან სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა. სწორედ ამ მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე ტ.გ.-ს ქმედება არ ჩაითვლება დანაშაულზე ნებაცოფლობით ხელის აღებად, ვინაიდან არ დადგენილა გარემოებანი ტ.გ.-ს მიერ ამრულებლის გადარწმუნების თაობაზე, არ მომხდარა ხელისუფლების ორგანოსთვის დროული შეტყობინება და მას არც სხვაგვარად შეუშლია ხელი ამსრულებლისთვის.

პირიქით დადგენილია, რომ ლ.კ.-მ და ი.ლ.-მ ისე ჩაიდინეს დანაშაული, რომ ინიციატორი სწორედ ტ.გ იყო და დამნაშავეები მისი გეგმის შესაბამისად მოქმედებდნენ, ამიტომაც იგი ამ დანაშაულში წარმოადგენდა ორგანიზატორს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაცვის მხარის ადვოკატმა გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საკასაციო პალატამ შეისწავლა კასატორის საჩივარი და დაასკვნა, რომ იგი არ აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც არ უნდა იყოს დაშვებული განსახილველად. საკასაციო პალატამ საჩივრის წარმოებაში მიღების დაუშვებლობა განმარტა და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება მოხდა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სრულყოფილად და ობიექტურად შეფასების საფუძველზე და საკასაციო სასამართლო სრულიად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.¹³⁰

¹³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი 23-174აპ-18
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

დასკვნა

ნაშრომში მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დაუმთავრებელი დანაშაული წარმოადგენს საზოგადოებისთვის საშიშ მოვლენას, რომელიც შესაძლოა დამთავრებული დანაშაულისავით შედეგიანი არაა, მაგრამ სამართლებრივ სიკეთეს უქმნის დაზიანების რეალურ და საფუძვლიან რისკებს.

კვლევამ, რომელმაც დაუმთავრებელი დანაშაულის პრობლემურ საკითხებზე გააკეთა აქცენტი, ნათლად დაგვანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეული იმ საკითხის სიღრმისეული შესწავლა, რომელიც დანაშაულის მომზადებას, მცდელობას და ნებაყოფლობით ხელის აღებას ეხება, რამეთუ ამ საკითხების არასრულფასოვნად და ზერელედ შესწავლა, კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ უამრავ პრობლემას გააჩენს, რაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს სწორ და სამართლიან მართლმსაჯულებაზე, რაც თითოეული ქვეყნისთვის ფუნდამენტურ ღირსებას წარმოადგენს, საკუთარი მოქალაქეების დაცვის სფეროში. საკვლევი თემის სიღრმისეულმა ანალიზმა, რომელიც არაერთი მეცნიერის წიგნსა და ნაშრომზეა დაფუძნებული, ჩამოაყალიბა ახალი ხედვა და შეძლებისდაგვარად გადაჭრა ის პრობლემები, რომელიც მრავალი წელია კამათის საგანს წარმოადგენს. მეტი თვალსაჩინოებისთვის და ნაშრომის სრულყოფილად გაგებისთვის, თემაში მოცემულია სასამართლო პრაქტიკა, რომელიც მოიცავს უზენაესი და სააპელაციო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებას.

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი თითოეული მეცნიერის მიერ გამოთქმული აზრი, რომელსაც საერთო ჯამში ეფუძნება სისხლის სამართლის მიმართულება, შეფასდა კრიტიკულად, დაისვა საჭირო კითხვები და მხოლოდ ამ კითხვებზე გაცემული შესაფერისი პასუხებების საფუძველზე ჩამოყალიბდა ის შეედეგები, რომელთა პრაქტიკაში რეალიზაციაც დაუმთავრებელ დანაშაულს უფრო მეტად გასაგებს გახდის და შეძლებს თითოეული ბრალეული თუ არაბრალეული ქმედების სწორ კვალიფიკაციას.

კვლევიდან ჩანს, რომ დანაშაულის მომზადებად საქართველოს კანონმდებლობა თვლის დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნას, რომელიც შეიძლება ათასგვარი მოქმედებით გამოიხატოს და ამ მოქმედებების ჩამონათვალს სისხლის სამართლის კოდექსი არ აკეთებს, რამეთუ თითოეული ქმედება, რომელიც შეიცავს დანაშაულის მომზადების ნიშნებს უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად. ნაშრომიდან ჩანს, რომ დანაშაულის მომზადების დასჯადობის მიზანს, მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაოდ დაშორებულია მართლსაწინააღმდეგო შედეგიდან, წარმოადგენს

სამართლებრივი სიკეთის დაცვა ადრეულ სტადიაზე, რაც ერთგვარ უსაფრთხოების გარანტიებს ქმნის ადამიანებისთვის, მაგრამ უფლებას ართმევს დამნაშავეს

ნებაყოფლობით ხელი აიღოს დანაშაულზე, რაც საკანონდებლო ხარვეზს წარმოადგენს და აუცილებელია მისი აღმოფხვრა, რამეთუ ერთი სამართლებრივი სიკეთის დაცვა დაზიანების ადრეულ სტადიაზე, არ უნდა ართმევდეს პიროვნებას იმ უფლებებს, რომელიც მას კანონმდებლობით აქვს მინიჭებული.

იქიდან გამომდინარე, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები გამოირჩევიან ლიბერალური კანონმდებლობით, საჭიროა ქართულმა კანონმდებლობამაც გადახედოს დანაშაულის მომზადების ნაწილს და მოახდინოს მისი დეკრიმინალიზაცია, ანდაც მიუდგეს მას უფრო რბილად, რამეთუ დანაშაულის მომზადება იმდენადაა დაშორებული შესაძლო შედეგთან მიმართებაში, რომ მისი დასჯა გამორიცხავს ყველანაირ ლიბერალურ მახასიათებლებს. ამასთან ერთად დანაშაულის მომზადების პროცესში, განზრახვა არ არის კონკრეტიზირებული და არსებობს უამრავი ხელის შემშლელი ფაქტორი, რაც მომზადებასა და დამდგარ შედეგს შორისაა და ნებისმიერ დროსა შესაძლებელია სუბიექტმა უარი თქვას დანაშაულის ჩადენაზე. დანაშაულის მომზადების განხილვისას, ასევე გამოიკვეთა ის სხვაობა, რაც მომზადებასა და განზრახვის გამომჟღავნებას შორისაა, რომელთა საფუძველზეც განზრახვის გამომჟღავნება არ წარმოადგენს დასჯად მოვლენას. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ გაბატონებული თეორია, თითქოს დანაშაულის მომზადება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არ არის მართებული, რამეთუ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის დროს დიდი ყურადღება ექცევა სუბიექტურ გარემოებას, რა დროსაც შესაძლოა პირს საერთოდ არ გააჩნდეს დანაშაულის მომზადების მიმართ პირდაპირი განზრახვა და უნებლიედ, ყოველგვარი პირდაპირი განზრახვის გარეშე ახორციელებდეს დანაშაულის მომზადებისთვის გათვალისწინებულ საქმიანობას.

რაც შეეხება დანაშაულის მცდელობას, იგი მომზადებისგან გასხვავებით უფრო მეტად საშიშ მოქმედებას წარმოადგენს, რაც სამართლებრივ სიკეთეს უშუალო საფრთხის წინაშე აყენებს, მუხედავად იმისა, რომ განზრახული შედეგი არ დგება. მცდელობას ახასიათებს ობიექტური მხარის ნაკლოვანება, რომელიც თავად დამნაშავის ან სხვა გარე ფაქტორების შედეგად ხდება უვარგისი შედეგის დასადგომად. დანაშაულის მცდელობა, სწორედ ზემოთ აღნიშნული ნიშნების არსებობის გამოა დასჯადი, რადგან მცდელობის დროს ხროციელდება უშუალოდ ობიექტური ნიშნები, რა დროსაც დანაშაულის ხელის შემშლელი მოტივები ძალა თითქმის აღარ არსებობს. იმისდა მიხედვით, თუ რამდენადაა დაშორებული მცდელობა დამთავრებული დანაშაულისგან, სისხლის სამართალში იგი დაყოფილია დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობებად, რაც სასჯელის დანიშვნისას

მხედვლობაში მისაღებია, რამეთუ დაუმთავრებელი მცდელობის დროს, სუბიექტს ჯერ კიდევ არ აქვს გაკეთებული ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო იყო მისი მხრიდან

შედეგის დასადგომად და ბუნებრივია მოსამართლემ ეს მხედველობაში უნდა მიიღოს და დანიშნოს უფრო ნაკლებ სასჯელი.

შესაძლოა სისხლის სამართალი სჯის მცდელობას, მაგრამ არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც მცდელობა არაა დასჯადი და ეს ხდება მაშინ, როცა საქმე გვაქვს აბსოლიტურად უვარგის მცდელობასთან, რომლის დროსაც პირის მიერ განხორციელებული ობიექტური შემადგენლობა თავისი ბუნებით ვერ ქმნის სამართლებრივი სიკეთის დაზიანების რისკებს, რაც თავისთავად გამოირცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ნაშრომში ასევე გაკრიტიკებულია საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლი, რომელიც თავისი შინაარსით ხაზს უსვამს მცდელობის მხოლოდ პირდაპირი ბუნებით განზრახვას, რაც არასწორია, რამეთუ განზრახვის განხორციელება შესაძლებელია არაპირდაპირი, ანუ ევენტუალური განზრახვითაც. იქიდან გამომდინარე, რომ თითოეული დანაშაულის შეფასებისას ყურადღება ექცევა სუბიექტურ კრიტერიუმს, დანაშაულის მცდელობის დროსაც, კონკრეტული ქმედება უნდა დახასიათდეს სუბიექტური ნიშნებით, რაც კონკრეტულ შემთხვევებში თავისთავად ხაზს უსვამს მცდელობის ევენტუალურ ბუნებასაც. აღნიშნული შეხედულების გამყარება ასევე შესაძლებელია საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლითაც, რომლის თანამხადაც პირდაპირი განზრახვა უნდა მოიცავდეს ცოდნას, ნებელობას და მართლწინააღმდეგობის შეგნებას, ანუ სამივე მათგანი უნდა არსებობდეს ერთდროულად, რაც კონკრეტულ ქეისებში არ არის ერთმანეთთან რელევანტურად შეკავშირებული. შესაძლოა პირის განზრახვა არ მოიცავდეს კონკრეტული სიკეთის განადგურებას, მაგრამ ობიექტური შემადგენლობის განხორციელებული ნიშნებით, მისი ქმედება ჰგავდეს სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მცდელობას. მაგალითისთვის ნაშრომში მოყვანილია ერთ-ერთი სექტის წევრი დედა, რომელიც თავის შვილს აგდებს ფანჯრიდან, იმ იმედით, რომ იგი გაფრინდება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა ობიექტურად იკვეთებოდეს დანაშაულის მცდელობის ნიშნები, რომელიც გულისხმობს ბავსის მკვლელობას ან ჯანმრთელობის დაზიანებას, მაგრამ სუბიექტური კუთხით იგი არ მოიცავს არც მართლწინააღმდეგობის შეგნებას, არც ცოდნას და არც ნებელობას. სწორედ ასეთი ქეისებისთვის გვწირდება იმის არიარება, რომ მცდელობა შესაზლებელია ევენტუალური განზრახვითაც, რაც სასულალებას მოგვცემს ქმედებების სწორად კვალიფიკაციას.

ქართულ სისხლის სამართალში საკუთარი ადგილი უკავია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს დამნაშავისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის

მოხსნას, აბრუნდებს მას ლეგალურ პოზიციაზე და ამასთან ერთად მართლსაწინააღმდეგო ქმედების ავტორის წახალისების გზით ცდილობს სამართლებრივი სიკეთის დაცვას.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების მომენტში, პირის დაუსჯელობა არ წარმოადგენს არც მართლწინააღმდეგობის და არც ბრალის გამომრიცხავ გარემოებას, რამეთუ ნებაყოფლობით ხელის აღება წარმოდგენს განთავისუფლების პერსონალურ საფუძველს, რომლისთვისაც ობიექტურ გარემოებასთან ერთად, მეტად მნიშვნელოვან ნიშანს წარმოადგენს სუბიექტური გარემოება, რამეთუ სწორედ სუბიექტური მდგომარეობა, რომელიც გამოხატულია ნებაყოფლობითობაში, არის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველი. სუბიექტური კრიტერიუმის ასეთი დიდი მნიშვნელობა გამომდინარეობს იქიდან, რომ დამნაშავემ საკუთარ დანაშაულზე ხელი უნდა აიღოს ნებაყოფლობით, ანუ სავსებით და საბოლოოდ. მასზე ხელის აღების მომენტში არ უნდა მოქმედებდეს რაიმე სხვა გარეგანი ძალა და დანაშაულის ჩადენაზე უარის თქმა უნდა მოხდეს მისი ნებიდან გამომდინარე.

ქართული სისხლის სამართალი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივებს არ აქცევს ყურადღებას და მნიშვნელობა არ აქვს დამნაშავემ დანაშაულზე კეთილშობილური თუ არაკეთილშობილური მიზნების გამო აიღო ხელი. აღნიშნული მიდგომა არაა მართებული, რაც ნაშრომშიცაა გაკრიტიკებული, რამეთუ ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობა აიხსნება იმით, რომ პიროვნებისგან აღარ არსებობს მომავალი საშიშროება, რაც ქმნის საზოგადოებრივი უსაფრთხოების განცდას, მაგრამ თუ კი, პირი არაკეთილშობილური მიზნებით იღებს ხელს დანაშაულზე, იგი ვერ ჩაითვლება საზოგადოებისთვის მისაღებ და სანდო ადამიანად, რადგან მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, მას ნებისმიერ დროს შეუძლია ახალი დანაშაულის ჩადენა. სწორედ ამიტომ სისხლის სამართლის მიმართულებისთვის რეკომენდაციის სახით შესაძლებელია ვთქვათ, რომ ნებაყოფლობითობის დროს აუცილებელია ყურადღება მიექცეს დამნაშავეს მოტივებს, რათა უკეთესად იქნას გაგებული და შესწავლილი, თუ რა შესაძლო რისკებთანაა დაკავშირებული ლეგალურ პოზიციაზე დაბრუნდებული დამნაშავეს პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება. სუბიექტურ ფაქტორთან ერთად, დანაშაულზე ხელის აღების მომენტში, გასათვალისწინებელია ასევე ობიექტური ნიშნებიც. თუ კი პირს სურს განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, მაშინ მხოლოდ სუბიექტური განწყობა არ კმარა, მასთან ერთად აუცილებლად გასათვალისწინებელია ის შედეგი, რაც დადგა. თუ კი დამნაშავემ სავსებით და საბოლოოდ აიღო ხელი დანაშაულზე, მაგრამ შედეგი მაინც დადგა, მაშინ ასეთი ქმედება ვერ იქნება განხილული, როგორც ნებაყოფლობით ხელის აღება, რადგან ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო შედეგი მაინც დადგა.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
2. მ. ტურავა - სისხლის სამართლის ზოგადი მიმოხილვა;
3. მ. ტურავა - სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-9 გამოცემა, 2013 წ;
4. მ. ტურავა - სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, 2013 წ;
5. მ. ტურავა - სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრებები, 2011 წ;
6. თ. წერეთელი - სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, 2007 წ;
7. მ. ლომსაძე - საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, 2014 წ;
8. ავტორთა კოლექტივი - სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2007 წ;
9. ე. მჭედლიშვილი-ჭედრიხი - სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011 წ;
10. თ. გამყრელიძე - სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, 2013 წ;
11. თ. ფანჯიკიძე - სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2003 წ;
12. ი. დვალაძე - სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2013 წ;
13. თ. დონჯაშვილი - საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2007 წ;
14. ნ. თოდუა - სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, I ტომი, 2011 წ;
15. ი. დვალაძე, გ. თუმანიშვილი, ნ. გვენეტაძე - კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია სისხლის სამართლაში, 2015 წ;
16. ლ. ხარანაული - დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), 2013 წ;
17. თ. გეგელია - დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები, 2018 წ;
18. ს. ავალიშვილი - დანაშაულის მომზადება და მცდელობა, 2019 წ;

19. თ. გაბეშია - დანაშაულის მცდელობის დასჯადობის თავისებურებანი ქართულ და გერმანულ კანონმდებლობაში, 2019 წ;

20. თ. ბაზაძე - დაუმთავრებელი დანაშაული, 2019 წ;

21. ს. გაგაძე - დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, 2018 წ;

22. გ. ნაჭყებია - სამართლის ჟურნალი N2, დანაშაულში თანამონაწილეთა თანაბრალეულობის დასაბუთების მეთოდოლოგიური პრობლემები, საუნივერსიტეტო გამომცემლობა (თსუ), 2013 წ.

სასამართლო პრაქტიკა

23. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი: **N2კ-373აპ-06**

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx> (ნახვის თარიღი 15.04.2021)

24. სააკველაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი: **N1/ზ-174-13**

<http://library.court.ge/judgements/73122013-10-18.pdf> (ნახვის თარიღი 25.04.2021)

25. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი: **2კ-1284აპ**

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx> (ნახვის თარიღი 10.05.2021)

26. უზენაესი სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, საქმის ნომერი: **174აპ-18**

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx> (ნახვის თარიღი 21.05.2021)